პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 37 (10123) | კვირა, 13 თებერვალი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად იწონებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებებს

ორგანიზებულად მოვაწყოთ ახალ კოლექტიური ხელშეკრულებათა დადება

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებისა და პროფესიულ კავშირთა მეთერთმეტე საკავშირო ყრილობის მითითების შესაბამისად ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მთელ რიგ წამყვან დარგებში მიმდინარეობს მზადება 1955 წლისათვის კოლექტიური ხელშეკრულებების დასადებად. მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოებში, მშენებლობებზე, სოფლის მეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობებში, კავშირგაბმულობის საწარმო-დაწესებულებებში, სახელმწიფო ვაჭრობაში და საზოგადოებრივი კვების ქსელში ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება უნდა დამთავრდეს მარტამდე, ხოლო მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში — 15 მარტამდე.

ახალი კოლექტიური ხელშეკრულებების დადება, რაც წელს ხდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მასების უმაღლესი საწარმოო და პოლიტიკური აქტივობით მზადების ვითარებაში, დიდი სამეურნეო პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანიაა. მის ჯეროვნად ჩატარებაზე—ხელშეკრულებათა პროექტების გულდასმით დამუშავებაზე, დროულად გაფორმებაზე დიდად არის დამოკიდებული წლიური საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულება.

კოლექტიური ხელშეკრულება, როგორც ცნობილია, წარმოადგენს საწარმოს ადმინისტრაციისა და პროფკავშირული ორგანიზაციის ურთიერთვალდებულებათა აღნუსხვას. იგი აძლიერებს ადგილობრივი სამეურნეო და პროფკავშირული ხელმძღვანელების პასუხისმგებლობას მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა წინაშე საწარმოს გამართული, შეუფერხებელი მუშაობისათვის, სახელმწიფო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის და ამ მიზნით რეზერვების გამოვლინებისა და გამოყენებისათვის.

წელს, ისევე როგორც წინა წლებში, ახალი კოლექტიური ხელშეკრულებების დადებას წინ უძღვის გასული წლის კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების მასობრივი შემოწმება. ახალი ხელშეკრულებების დადებისათვის მზადებაში ეს მეტად მნიშვნელოვანი ეტაპია.

მასობრივი შემოწმების მთავარი მიზანი ის არის, რომ გამოვავლინოთ მოცემული საწარმოს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები, ის მიზეზები, რამაც ხელი შეუშალა კოლექტივს სახელმწიფო გეგმის შესრულებაში, გამოვამჟღავნოთ მოუქნელი, უდარდელი მუშაკები, რომლებმაც ვერ შეძლეს კოლექტიური ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დროულად განხორციელება მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოსაპოვებლად. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე დამტკიცებულ კანონში სსრ კავშირის 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების შემოსავალი გათვალისწინებულია 497.320.182 ათასი მანეთის რაოდენობით. ამ შემოსავლის მიღების უზრუნველსაყოფად წელს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა შინასამეურნეო დაგროვების ზრდას, არსებული რეზერვების მობილიზაციას, შრომის ნაყოფიერების განუხრელ ამაღლებას.

ხშირად კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებას საწარმოებში არ ჩქარობენ, თუმცა არავის არ აეჭვებს, რომ ამ ღონისძიებათა განხორციელება გამოიწვევდა შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, მუშათა დენადობის აღკვეთას. ტყვარჩელქვანახშირის ტრესტში (ტრესტის მმართველი ამხ. ა. გამხარაშვილი, ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. დ. თარბა) 1954 წლის პირველ ნახევარში მეშახტეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის გათვალისწინებული თანხა მხოლოდ 78 პროცენტით აითვისეს, ტყიბულქვანახშირის ტრესტში (ტრესტის მმართველი ამხ. ფ. ნაჭყებია, პროფკავშირის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გ. სოფრომაძე) — 66 პროცენტით.

ასევე არ შეეცადნენ ტყიბულელ მეშახტეთა სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები დროულად აეთვისებინათ ტექნიკური უსაშიშროების განმტკიცებისათვის გათვალისწინებული თანხები, თუმცა ყველასთვის ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შახტებში ტექნიკური უსაშიშროების განმტკიცებას.

რესპუბლიკის სამკერვალო მრეწველობაში, რომლის მიმართ ხშირად გაისმის მომხმარებელთა სამართლიანი საყვედურები შეკერილი ტანსაცმლის უხარისხობის შესახებ, თბილისის მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკას წამყვანი ადგილი უკავია. ფაბრიკის მუშათა შრომის პირობების გასაუმჯობესებლად შარშან აქ უნდა მოეწყოთ ამწოვი ვენტილაცია. სამუშაოები დაიწყეს, მაგრამ მალე შეწყვიტეს, ვინაიდან საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტრომ ფაბრიკას დროულად ვერ მიაწოდა სათანადო მოწყობილობა. ამის შედეგად ვენტილაციის მოწყობა, რაც ამავე დროს ნიშნავს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის პირობების შექმნას, დაბრკოლდა.

ორმხრივი ვალდებულებები, რომლებსაც ახალ ხელშეკრულებებში შევიტანთ, უნდა გავმიზნოთ იქითკენ, რომ წარმატებით შევასრულოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის იანვრის პლენუმის დადგენილება — მივაღწიოთ მძიმე ინდუსტრიის შემდგომ განვითარებას და ამ საფუძველზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ახალ აღმავლობას, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელ გაუმჯობესებას.

ხელშეკრულებებში შესატანად უნდა გავითვალისწინოთ ყველა ის ღონისძიება, რომლებიც ხელს შეუწყობენ კოლექტივს საწარმოო წარმატებათა მოპოვებაში, მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებაში. ეს ღონისძიებებია შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება და უსაშიშროების ტექნიკის განმტკიცება, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების წარმოებაში დანერგვა, ახალი ტექნიკის ათვისება, მოწინავეთა გამოცდილების განზოგადება.

1955 წლისათვის კოლექტიური ხელშეკრულებების კამპანია ახლადარჩეული პროფკავშირული ორგანოების სერიოზული გამოცდაა. ისინი ამ გამოცდას წარმატებით ჩააბარებენ, თუ ამ კამპანიაში ფართოდ ჩააბამენ პროფკავშირულ მასებს, უზრუნველყოფენ ხელშეკრულებათა პროექტების გულდასმით განხილვას და მოცემულ ვადებში ხელმოწერას. ამ საქმეში ადგილობრივ პროფკავშირულ და სამეურნეო ორგანიზაციებს ქმედითი დახმარება უნდა გაუწიონ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა. ამ დახმარებაზე დიდად არის დამოკიდებული სახელშეკრულებო კამპანიის მაღალ იდეურ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ დონეზე ჩატარება.

მიტინგი ონის რაიონის სოფელ ღარის კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ჯაფარიძე კოლმეურნეებს აცნობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის შედეგებს. ფოტო შ. გოქაძისა.

მტკიცე ერთიანობა და დარაზმულობა

სოხუმი. (საკ. კორ.). აფხაზეთის საწარმოებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდი აღფრთოვანებით მიმდინარეობს მიტინგები, მიძღვნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის შედეგებისადმი. რესპუბლიკის მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ სესიის გადაწყვეტილებებს და იღებენ გადიდებულ ვალდებულებებს ხუთწლიანი გეგმის ვადამდე და მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულებისათვის.

სოხუმის ორჯონიკიძის სახელობის ტყავფეხსაცმლის კომბინატის ხალხმრავალ მიტინგზე სიტყვით გამოსულმა ფეხსაცმლის გამომჭრელი საამქროს მოწინავე მუშამ კ. ვორონინმა განაცხადა:

— სესიის გადაწყვეტილებანი აღაფრთოვანებს საბჭოთა ხალხს შემოქმედებითი შრომისათვის. ეს ისტორიული დოკუმენტები ნათლად ასახავენ პარტიისა და მთავრობის ბრძნულ პოლიტიკას. ჩვენი ხალხი მშვიდობას ესწრაფვის, მაგრამ თუ მტერმა გაბედა ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმა, მას გამანადგურებელ პასუხს გასცემს სახელოვანი საბჭოთა არმია, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე იარაღის ყველა სახეობით. პირადად მე ვალდებულებას ვკისრულობ ყოველდღიური საწარმოო დავალება 150 პროცენტით შევასრულო.

მგზნებარე პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს და გადიდებული ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე ზ. თოფურიამ, პ. ჰიკოვამ და სხვებმა.

კომბინატის კოლექტივმა მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში ერთსულოვნად მოიწონა სესიის გადაწყვეტილებანი და ვალდებულება იკისრა ხუთწლიანი გეგმა შეასრულოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 38 წლისთავისათვის.

მეტი სახალხო მოხმარების საქონელი ქვეყანას

გორი. (საკ. კორ.). გორელი ფეიქრები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებებს. საფეიქრო კომბინატის ფაბრიკებში და ახალმშენებლობებზე გაიმართა ხალხმრავალი მიტინგები.

— საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა,— თქვა წარჩინებულმა მრთველმა ე. სამადლიშვილმა, — ნათლად არის ჩამოყალიბებული ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მოხსენებაში და იგი მიმართულია მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისაკენ. აგრესორების ყოველი ცდა ხელყონ საბჭოთა ხალხის მონაპოვარი ჩაიფუშება. ჩვენ, გორელი ფეიქრები არ დავზოგავთ ენერგიას, რომ რაც შეიძლება მეტი და მაღალხარისხოვანი სახალხო მოხმარების საქონელი გამოვუშვათ საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ. ვალდებულებას ვკისრულობ ყოველდღიური დავალება შევასრულო 150 პროცენტით, ამასთან გამოვუშვა მხოლოდ პირველი ხარისხის ნართი, რისთვისაც შეჯიბრებაში ვიწვევ მრთველ ლუბა სოკოლოვას.

სიტყვებით გამოვიდნენ და ახალი ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე მქსოველებმა ზ. სილცენკომ, ო. გაგლოშვილმა, მრთველმა რ. ასკილაშვილმა, ოსტატის თანაშემწეებმა ი. ჯოხონელიძემ, გ. შოშიაშვილმა და სხვებმა.

მხურვალე მოწონების სიტყვები

მოსკოვი, 11 თებერვალი. (საქდესი). ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ქარხნის სარემონტო-მექანიკურ საამქროში მეორე ცვლის დაწყებამდე გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის შედეგებისადმი მიძღვნილი კრება. სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის მინისტრმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ვ. გ. ჟავორონკოვმა ილაპარაკა სესიის მუშაობასა და გადაწყვეტილებებზე. კრების მონაწილენი მქუხარე ტაშით მიესალმნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის ნ. ა. ბულგანინის დანიშვნას და სესიის სხვა გადაწყვეტილებებს.

ტრიბუნაზეა ქარხნის ერთ-ერთი უხუცესი მუშა ამხ. ვასინი.

— ჩვენი ქარხნის კოლექტივი, — თქვა მან, — შეუნელებელი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს სესიის მუშაობას. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მხურვალედ ვიწონებთ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებს. ამ გადაწყვეტილებებით გამოხატულია ჩვენი ფიქრები და გრძნობები საყვარელი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების შესახებ, მშვიდობისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ. საბჭოთა ხალხი დაინტერესებულია მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარებით, რომელიც საიმედოდ უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის, მსუბუქი მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის ყველა სხვა დარგის განუწყვეტელ აღმავლობას.

საწარმოს კოლექტივს ყველა შესაძლებლობა აქვს ხუთწლედი დაამთავროს უფრო მოკლე ვადაში, ვიდრე წინათ იყო დასახული. წინადადება შემომაქვს მივიღოთ ახალი სოციალისტური ვალდებულება — ხუთწლიანი გეგმის დავალება შევასრულოთ 1955 წლის 5 აპრილისათვის.

მოტორსაწყობი საამქროს დამწყობთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირმა ამხ. სოკოლოვამ თქვა:

— ახალგაზრდა მუშები ქარხნისა, რომელიც დიდი ლენინის სახელს ატარებს, სავსებით უჭერენ მხარს და იწონებენ საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

ჩვენ გვსურს მშვიდობა. ჩვენ არავის არ ვემუქრებით, მაგრამ, თუ საჭირო გახდა, სასტიკ პასუხს გავცემთ ყოველ აგრესორს, შევძლებთ დავიცვათ თავი, დავიცვათ საყვარელი სამშობლო.

ახალგაზრდა მუშების სახელით მოვუწოდებ ქარხნის მთელ კოლექტივს გააორკეცოს ღონისძიებანი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში. ვალდებულებას ვკისრულობ ყოველდღე 190 პროცენტით შევასრულო დავალება.

ქარხნის მთავარი კონსტრუქტორის მოადგილემ ინჟინერმა ამხ. ალოვმა გამოთქვა უდიდესი კმაყოფილება უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების გამო და ქარხნის კოლექტივს მოუწოდა გააძლიეროს შრომითი აქტივობა.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელიც იწონებს უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებს. რეზოლუციაში, კერძოდ, ნათქვამია:

— ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ქარხნის მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების კოლექტივი, რომელიც აღფრთოვანებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებით, კისრულობს ახალ ვალდებულებას — ქარხნის მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დავალება შეასრულოს 1955 წლის 5 აპრილისათვის, მიაღწიოს შრომის ნაყოფიერების შემდგომ გადიდებას, წარმოების შინარეზერვების გამოყენებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და ხარისხის გაუმჯობესებას.

პირობას ვაძლევთ პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომ კომუნისტური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ქარხნის კოლექტივი კვლავაც დაუცხრომლად განამტკიცებს ჩვენი სამშობლოს ძლიერებას, გააძლიერებს რევოლუციურ სიფხიზლეს, მტკიცედ დაუჭერს მხარს საბჭოთა მთავრობის ბრძნულ პოლიტიკას.

მშვიდობას გმირული შრომით განვამტკიცებთ

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურელი მაღაროელები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებებს. მაღაროებში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგები.

ლენინის სახელობის მაღაროს ცნობილმა მაღაროელმა პ. ჩაჩანიძემ განაცხადა:

— სულით და გულით მივესალმებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებს. ჩვენ კიდევ უფრო მეტი ენერგიით ვიმუშავებთ საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ. უბანი, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, წლიურ გეგმას შეასრულებს 15 დეკემბრისათვის. მშვიდობას გმირული შრომით განვამტკიცებთ!

მიტინგებზე მიღებულ რეზოლუციებში ჭიათურელი მაღაროელები პირობას დებენ, რომ თავდადებით იშრომებენ მეხუთე ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, მძიმე ინდუსტრიის შემდგომი აღმავლობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხის კეთილდღეობის განუხრელი ზრდის გზით

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის ასს რესპუბლიკის მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებს. საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იმართება ხალხმრავალი მიტინგები, რომლებზეც მშრომელები გამოთქვამენ თავიანთ უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი, თავიანთ მზადყოფნას კიდევ უფრო ენერგიულად იმუშაონ სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მუშათა მიტინგზე პარტბიუროს მდივანმა ა. ზრიგადლომა წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეკლარაცია და დამსწრეთ გააცნო სესიის გადაწყვეტილებანი.

ტრიბუნაზეა მეორე საამქროს დანადგარის უფროსი მ. კრასნოლობოვი.

— საბჭოთა კავშირის 1955 წლის ბიუჯეტი, — ამბობს იგი, — ნათლად მოწმობს, რომ ჩვენი პარტიისა და მთავრობის ყველა ღონისძიება მიმართულია სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისაკენ, ხალხის კეთილდღეობის განუწყვეტელი აღმავლობისაკენ.

მეცხრე საამქროს უფროსმა ქ. მახარაძემ განაცხადა, რომ სესიაზე საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის სიტყვა და ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება ცხადყოფენ ჩვენი ქვეყნის თანმიმდევრულ სამშვიდობო პოლიტიკას, ჩვენს ძლიერებას. საბჭოთა ადამიანებს ვერ შეაშინებს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეების მუქარა.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც მხურვალედ იწონებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას და გამოთქვამენ მზადყოფნას — დაუღალავად იმუშაონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისა და სესიის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლიური გეგმა 21 დეკემბრისათვის შეასრულოს.

ქართველ მეცნიერთა სიტყვა

საბჭოთა ინტელიგენცია, ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მუშაობას. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კოლექტივი დიდი კმაყოფილებით შეხვდა სესიის გადაწყვეტილებებს და მის მიერ მიღებულ დეკლარაციას. გაიმართა მიტინგი, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ა. ჯანელიძემ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პარტბიუროს მდივანმა მ. გეგეშიძემ მიტინგის მონაწილეებს გააცნო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეკლარაცია და სესიის გადაწყვეტილებანი.

ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი ნ. კეცხოველი.

— საბჭოთა ხალხი, — ამბობს იგი, — ომის გამჩაღებელთა აგრესიულ გეგმებს უპირისპირებს მშვიდობიან შემოქმედებით შრომას, უდიდეს აღმშენებლობით ღონისძიებებს. ჩვენს ქვეყანაში მეცნიერება კომუნისტური მშენებლობის საარსებო ამოცანების გადაწყვეტას, სოციალისტური კულტურის აყვავებას ემსახურება, მაშინ როცა ბურჟუაზიული მეცნიერება ომის გამჩაღებელთა სამსახურშია. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეკლარაცია მოუწოდებს მთელი მსოფლიოს ხალხებს და პარლამენტებს იბრძოლონ ატომური და მასობრივი მოსპობის ყველა სახეობის იარაღის აკრძალვისათვის, არ დაუშვან ახალი ომი. ხალხები ამას მიაღწევენ, რადგან მშვიდობის ძალები ახლა აგრესიისა და ომის ძალებზე უფრო ძლიერია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი კ. ზავრიევი დამსწრეთ მოუწოდებს კიდევ უფრო გააძლიერონ მეცნიერული მუშაობა, არ დაიშურონ ცოდნა და ენერგია მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის, სოციალისტური სამშობლოს ძლიერებისათვის.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი გ. გედევანიშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ი. გიგინეიშვილი, ენერგეტიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ი. დევდარიანი, ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე ა. ნუცუბიძე და მათემატიკის ინსტიტუტის სწავლული მდივანი ე. დეკანოსიძე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. ა. ბულგანინმა მიიღო ამერიკელი ჟურნალისტები ვ. რ. ჰერსტი, ჯ. კინგსბერი სმიტი და ფ. კონიფი

12 თებერვალს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. ა. ბულგანინმა მიიღო კრემლში ამერიკელი ჟურნალისტები ვ. რ. ჰერსტი, ჯ. კინგსბერი სმიტი და ფ. კონიფი და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მათთან. (საქდესი).

მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების შესახებ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ხელშეკრულების ხელმოწერის მეხუთე წლისთავისათვის

საბჭოთა ადამიანები ფართოდ აღნიშნავენ მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების შესახებ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ხელშეკრულების ხელმოწერის მეხუთე წლისთავს, რომელიც 14 თებერვალს სრულდება.

ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას მიეძღვნა დედაქალაქის საზოგადოებრიობის საზეიმო კრება, რომელიც 12 თებერვალს შედგა მოსკოვში კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში.

კრების მონაწილენი მხურვალე ტაშით შეხვდნენ პრეზიდიუმში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ა. ი. მიქოიანის, რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. პ. ტარასოვის, სსრ კავშირში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ლიუ სიაოს, საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეების გამოჩენას.

კრება გახსნა პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ლ. ი. სოლოვიოვმა.

მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების თაობაზე საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ხელშეკრულების ხელმოწერის მეხუთე წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ პროფესორმა ა. ი. დენისოვმა. კრებაზე სიტყვები წარმოთქვეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა ლიუ სიაომ, აკადემიკოსმა ა. მ. პანკრატოვამ, ცნობილმა მემანქანე-ნოვატორმა ვ. გ. ბლაჟენოვმა. დასასრულ გაიმართა კონცერტი. (საქდესი).

ბელორუსული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა მოსკოვში

11 თებერვალს მოსკოვში გაიხსნა ბელორუსული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა. ჩვენი ქვეყნის მოძმე ხალხების შემოქმედებითი მიღწევების საბჭოთა კავშირის დედაქალაქში ჩვენება მთელი საბჭოთა სოციალისტური კულტურის დიდი და სასიხარულო დღესასწაულია. იგი მოწმობს კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას.

მოსკოვის უდიდეს თეატრებსა და საკონცერტო დარბაზებში გაისმა გულში ჩამწვდომი ბელორუსული სიმღერები და სიტყვები, რომლებიც მშობლიური და მახლობელია რუსი ადამიანისათვის, ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხისათვის.

დიდი აკადემიური თეატრის დარბაზი მორთულია სსრ კავშირისა და ბელორუსიის სსრ სახელმწიფო ალმებით. აქ შეიკრიბნენ მოსკოვის საწარმოთა მუშები, დედაქალაქის ხელოვნების ოსტატები, მეცნიერები, მწერლები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, მინისტრები, საბჭოთა არმიის ოფიცრები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სპექტაკლის დაწყების წინ ხდება ბელორუსი ხალხის წარმომადგენელთა აღფრთოვანებული შეხვედრა მოსკოველებთან. გაისმის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი. დამსწრენი მხურვალე ტაშით ეგებებიან დეკადის მონაწილეთა გამოჩენას სცენაზე.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს და მოსკოვის ხელოვნების მუშაკთა სახელით მათ გულითად სალამს უძღვნის ა. ვ. სოლოდოვნიკოვი. იგი ამბობს, რომ ბელორუსული ხელოვნების პირველი დეკადის შემდეგ გასულ 15 წელიწადში ბელორუსიის ნიჭიერმა კომპოზიტორებმა, მხატვრებმა, მწერლებმა, მსახიობებმა ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები შექმნეს, რომლებითაც სამართლიანად ამაყობს მთელი საბჭოთა ხალხი. საუკეთესონი ამ ნაწარმოებთაგან ნაჩვენები იქნება დეკადის დღეებში.

საპასუხო სიტყვაში სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ლ. პ. ალექსანდროვსკაიამ მადლობა გადაუხადა მოსკოველებს გულითადი მიღებისათვის და ილაპარაკა იმაზე, თუ რა შემოქმედებითი აღფრთოვანებით ემზადებოდნენ დეკადისათვის ბელორუსიის ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკები.

... იხსნება ფარდა. იწყება ბელორუსიის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის პირველი სპექტაკლი. ასრულებენ ოპერას: „პოლესიელი ქალიშვილი". ოპერა მიძღვნილია დიდი სამამულო ომის წლებში ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ პარტიზანთა გმირული ბრძოლისადმი. ოპერის მუსიკა, რომელშიც ფართოდ არის გამოყენებული ბელორუსული ხალხური მელოდიები, მომხიბვლელად და დიდი ემოციური აღმავლობით გადმოგვცემს სოციალისტური სახელმწიფოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის პათოსს.

ოპერის მთავარ როლებს ბელორუსიის სცენის დამსახურებულ ოსტატებთან ერთად ასრულებდნენ ახალგაზრდა მსახიობები, რომლებმაც გამოიჩინეს დიდი ვოკალური ოსტატობა და სცენური კულტურა.

ალესიას პარტია დიდი წარმატებით შეასრულა ბელორუსიის სსრ დამსახურებულმა არტისტმა კ. კუდრიაშევამ, პარტიზანთა რაზმის ხელმძღვანელის აპანასისა — ბელორუსიის სსრ სახალხო არტისტმა ნ. ვორვულევმა. მსმენელებმა გულთბილად მიიღეს ოპერის სოლისტები ბელორუსიის სსრ სახალხო არტისტები მ. ზიუვანოვი და ი. ბოლოტინი, ბელორუსიის სსრ დამსახურებული არტისტები ნ. სერდობოვი, ვ. ვოლჩანეცკაია, ტ. ნიენიკოვა, მსახიობი გ. დმიტრიევი და სხვ.

ოპერის მუსიკა შექმნა ბელორუსმა კომპოზიტორმა ბელორუსიის სსრ სახალხო არტისტმა ე. ტიკოცკიმ, ლიბრეტოს ავტორები არიან პ. ბროვკა და ე. რომანოვიჩი. დირიჟორობდა ბელორუსიის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლ. ლიუბიმოვი, რეჟისორები არიან სსრ კავშირის სახალხო არტისტი ლ. ალექსანდროვსკაია, ნ. დამბროვსკი, ო. მორალევი. სპექტაკლის გაფორმება ეკუთვნით ბელორუსიის სსრ სახალხო მხატვარს ს. ნიკოლაევსა და მხატვრებს მ. ბლიშს, ვ. კულევანოვსკის, ი. პეშკურს.

სპექტაკლს დაესწრნენ ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, პ. კ. პონომარენკო, პ. ნ. პოსპელოვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ნ. შატალინი, ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ს. პატოლიჩევი, ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ი. კოზლოვი, ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კ. ტ. მაზუროვი.

სპექტაკლმა დიდი წარმატებით ჩაიარა. (საქდესი).

აგიტატორის დასახმარებლად

საბჭოთა კონსტიტუცია მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციაა

1919 წლის 1 მაისს მოსკოვში წითელ მოედანზე ვ. ი. ლენინმა თავის გამოსვლაში თქვა: „ჩვენი შვილიშვილები კაპიტალისტური წყობილების ეპოქას დოკუმენტებსა და ძეგლებს ისე დაუწყებენ გასინჯვას, როგორც რაღაც საკვირველებას. მათთვის ძნელი იქნება იმის წარმოდგენა, თუ როგორ შეიძლებოდა, რომ პირველი საჭიროების საგნების გაჭრობა კერძო ხელში ყოფილიყო, ფაბრიკა-ქარხნები ცალკე პირების საკუთრება ყოფილიყო, როგორ შეეძლო ერთ კაცს მეორის ექსპლოატაცია გაეწია. როგორ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ არამშრომელი ადამიანები“. და მართლაც, ახალგაზრდა საბჭოთა მოქალაქეებისათვის ძნელი წარმოსადგენია, რა აუტანელ პირობებში უხდებოდათ მშრომელებს ცხოვრება ცარიზმის დროს. სიტყვა „მოქალაქე“ ახლანდელი მნიშვნელობით იმ დროს არ არსებობდა. იყვნენ მხოლოდ პოლიტიკურ უფლებებს მოკლებული მეფის ქვეშევრდომები, რომლებზეც მოხელეები ბატონობდნენ. საშინელ ჩაგრას განიცდიდნენ მუშათა კლასი, გლეხობა და ყველა ეროვნების ხალხები.

ოქტომბრის რევოლუციის შედეგად ძველი მემამულურ-ბურჟუაზიული სახელმწიფო განადგურებულ იქნა. დამხობილ ექსპლოატორულ კლასებს წაერთვათ მიწა, ფაბრიკები და ქარხნები, რკინიგზები, ბანკები და ყოველივე ეს საზოგადოებრივი საკუთრება, მთელი ხალხის კუთვნილება გახდა. პოლიტიკური ძალაუფლება მუშათა კლასის და უღარიბესი გლეხობის ხელში გადავიდა, წარმოიშვა ახალი ტიპის სახელმწიფო — საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო.

პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები გახდნენ. საბჭოთა სახელმწიფოს შექმნით ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა მთელ მსოფლიოს დაუმტკიცეს, რომ სწორედ ხალხია ისტორიის ნამდვილი შემოქმედი, ამიტომაც ხალხი უნდა იყოს საზოგადოების ცხოვრების ბატონ-პატრონი, სახელმწიფოს მმართველი.

კომუნისტურმა პარტიამ, შეიარაღებულმა ლენინურ-სტალინური თეორიით ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ, მშრომელებს უჩვენა სსრ კავშირში სოციალისტური საზოგადოების აშენების სწორი გზა. საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დათრგუნა რა კლასობრივი მტრების გაერთიანებული წინააღმდეგობა, თავდადებული შრომით შექმნა პირველხარისხოვანი სოციალისტური ინდუსტრია, განახორციელა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა. ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან ჩვენი სამშობლო გარდაქმნა მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ.

კაპიტალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით სსრ კავშირის ეკონომიურ საფუძველს შეადგენენ მეურნეობის სოციალისტური სისტემა და წარმოების იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება. ქარხნები, ფაბრიკები, შახტები, მაღაროები, რკინიგზის და სამდინარო ტრანსპორტი, მიწა და მისი წიაღი, კავშირგაბმულობის საშუალებანი, საბჭოთა მეურნეობები, კომუნალური საწარმოები და სხვა საყოველთაო-სახალხო საკუთრებაა, ამასთან არსებობს კოოპერაციულ-საკოლმეურნეო საკუთრება. საზოგადოებრივი საწარმონი კოლმეურნეობებსა და კოოპერაციულ ორგანიზაციებში მათი ინვენტარით, კოლმეურნეობებსა და კოოპერაციული ორგანიზაციების მიერ წარმოებული პროდუქცია, ისევე როგორც მათი საზოგადოებრივი ნაგებობანი შეადგენენ კოლმეურნეობათა და კოოპერაციულ გაერთიანებათა სოციალისტურ საკუთრებას.

1936 წლის 5 დეკემბერს სსრ კავშირის საბჭოების საგანგებო მერვე ყრილობაზე დამტკიცებულ იქნა ახალი კონსტიტუცია, რომელშიც ასახულია ყველა ის მონაპოვარი, რასაც საბჭოთა კავშირის ხალხებმა მიაღწიეს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირობებში. კონსტიტუციამ კანონმდებლობითი წესით განამტკიცა ის მსოფლიო-ისტორიული ფაქტი, რომ სოციალიზმი ჩვენს ქვეყანაში სინამდვილე გახდა, სსრ კავშირი შევიდა განვითარების ახალ ხანაში — კომუნისტურ საზოგადოებაზე გადასვლის ხანაში, როცა საზოგადოებრივი ცხოვრების ხელმძღვანელი საწყისი უნდა გახდეს კომუნისტური პრინციპი — „თვითეულისაგან მისი უნარის მიხედვით, თვითეულს მას მოთხოვნილებათა მიხედვით“. ი. ბ. სტალინის მოხსენებაში „სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ“ მოცემულია იმ მსოფლიო-ისტორიულ ცვლილებათა ღრმა ანალიზი, რომლებიც სსრ კავშირში საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ყველა დარგში მოხდა. კონსტიტუციის მიღების მომენტისათვის შექმნილი იყო ახალი სოციალისტური ეკონომიკა, რომლისთვისაც უცხოა კრიზისები და უმუშევრობა, მშრომელი მასების სიღატაკე და გაჩანაგება, და რომელმაც საბჭოთა მოქალაქეებს მისცა შეძლებული და კულტურული ცხოვრების ყველა შესაძლებლობა. ეკონომიკის დარგში მომხდარმა ამ ცვლილებებმა შესაბამისად შეცვალა საბჭოთა საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურაც. მთლიანად მოსპობილ იქნა ექსპლოატატორული კლასები, საბჭოთა საზოგადოებაში დარჩა ორი მეგობრული კლასი — მუშათა და გლეხთა კლასები, დარჩა საბჭოთა ინტელიგენცია, რომელიც მტკიცედ დაკავშირებულია მუშათა კლასთან და გლეხობასთან.

საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების პირობებში სსრ კავშირის ხალხებმა დიდი რუსი ხალხის დახმარებით უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. გაქრა ურთიერთ უნდობლობის გრძნობა. ჩამოყალიბდა და კიდევ უფრო განმტკიცდა ხალხთა მეგობრობა და ძმური თანამშრომლობა ერთიან საკავშირო სახელმწიფო სისტემაში. ყოველივე ეს მიღწეულია კომუნისტური პარტიის ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებით.

საბჭოთა კონსტიტუცია საბჭოთა მოქალაქეებისათვის უზრუნველყოფს დიად დემოკრატიულ უფლებებსა და თავისუფლებებს — სიტყვის თავისუფლებას, კრებების, მიტინგების, ქუჩის პროცესიებისა და დემონსტრაციების თავისუფლებას. თვითეული საბჭოთა მოქალაქისათვის უზრუნველყოფილია შრომის, დასვენების, განათლების, მატერიალური უზრუნველყოფის და სინდისის თავისუფლება. ჩვენში ყველა ეროვნებისა და რასის წარმომადგენლები თანასწორი უფლებებით სარგებლობენ. საბჭოთა კონსტიტუციამ ქალს მამაკაცის თანასწორი უფლებები მიანიჭა სახელმწიფოებრივი, სამეურნეო, კულტურული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში.

საბჭოთა ადამიანებს ღრმად აქვთ შეგნებული სიდიადე თავიანთი უფლებებისა, რომლებიც საბჭოთა კონსტიტუციით აქვთ მინიჭებული და რომლებიც განუხრელად ხორციელდება. ისინი პატივს სცემენ და ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს ისე, როგორც საბჭოთა მოქალაქეებს შეეფერით. ჩვენში შრომა მამაცობისა და დიდიბის საქმეა. სოციალისტური ქვეყნის შეგნებულ მოქალაქეს სძულს და ეზიზღება ზარმაცები, მუქთახორები, სახელმწიფო ქონების წამგლეჯები.

სოციალიზმის ქვეყნის ადამიანები თავიანთი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები არიან. მათი შეუდრეკელი ნებისყოფითა და ენერგიული შრომით იქნა მიღწეული ომის შედეგად დანგრეული მეურნეობის სწრაფი აღდგენა. სახალხო მეურნეობის დარგში მიღწეული წარმატებანი ხალხის შემოქმედების ნაყოფია, ხალხისა, რომელსაც აქვს მსოფლიოში ყველაზე უფრო დემოკრატიული კონსტიტუცია, ისეთი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება, რომელიც საზოგადოების ორგანიზაციის საუკეთესო ფორმას და მრავალეროვანი სახელმწიფოს ორგანიზაციის ნიმუშს წარმოადგენს. ამ წარმატებათა მიღწევა შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ საბჭოთა ხალხი არნახული სიმტკიცით დარაზმულია კომუნისტური პარტიის გარშემო, რომელსაც ჩვენი ქვეყანა გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მიჰყავს კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

ამჟამად, როდესაც საქართველოს სს რესპუბლიკაში და მომავალ რესპუბლიკებში გაჩაღებულია მზადება უმაღლესი საბჭოებისა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის, საბჭოთა ხალხმა ხელისუფლების ორგანოებში დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელა ქალაქისა და სოფლის მოწინავე ადამიანები, რომლებსაც უნარი შესწევთ იყვნენ ხალხის ერთგული მსახურნი და უხილმძღვანელონ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული განვითარების საქმეს.

კ. ლოლაძე.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

12 თებერვალს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოსკოვში მყოფ უცხოეთის ყველა საელჩოსა და მისიას გაუგზავნა ნოტები, რომლებიც ახლავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1955 წლის 9 თებერვალს მიღებული დეკლარაციის ტექსტს, დეკლარაციისა, რომელიც შეიცავს მიმართვას სხვა ქვეყნების პარლამენტებისადმი.

ნოტებში აღნიშნულია, რომ — სამინისტრო [illegible] ლი დეკლარაციის [illegible] გადაცემისათვის.

სსრ კავშირის წინადადება ტაივანის რაიონში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით კონფერენციის მოწვევის შესახებ

როგორც პრესა უკვე იუწყებოდა, 28 და 31 იანვარს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ვ. მ. მოლოტოვს შეხვედრები ჰქონდა დიდი ბრიტანეთის ელჩთან სსრ კავშირში უ. ჰეიტერთან კუნძულ ტაივანისა და ჩინეთის სხვა სანაპირო კუნძულების რაიონში შექმნილი მდგომარეობის საკითხზე.

2 თებერვალს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. იდენმა სსრ კავშირის საქმეთა რწმუნებულს ინგლისში ნ. დ. ბელოხვოსტიკოვს გაუკეთა ინგლისის მთავრობის არაოფიციალური განცხადება, რომელშიც შეეხო ჩინეთის აღნიშნული კუნძულების რაიონში შექმნილი მდგომარეობის საკითხს.

4 თებერვალს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ბრიტანეთის ელჩი და გაუკეთა მას შემდეგი განცხადება:

„საბჭოთა მთავრობას, როგორც უკვე აღნიშნული იყო მის 31 იანვრის განცხადებაში, ისევე როგორც დიდი ბრიტანეთის მთავრობას, აფიქრებს ის სიშიში მდგომარეობა, რომელიც შექმნა ტაივანისა და ჩინეთის სანაპიროსთან მდებარე სხვა კუნძულების რაიონში. შექმნილი მდგომარეობა ემუქრება მშვიდობის შენარჩუნებას და აძლიერებს ახალი ომის საფრთხეს.

სსრ კავშირის მთავრობას აქ შექმნილი მდგომარეობის მიზეზად მიაჩნია ის, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჩან კაი-შის დახმარებით უკვე რამდენიმე წლის წინათ ხელში ჩაიგდეს ჩინეთის კუთვნილი კუნძული ტაივანი, პენხულედაოს კუნძულები და ჩინეთის ზოგიერთი სხვა კუნძული. ამ უკანასკნელ ხანს კი შეერთებულმა შტატებმა მიმართეს ახალ აგრესიულ მოქმედებას ამ რაიონში, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა აქ დაძაბულობის მდგომარეობა.

ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა ჩინეთის ქალაქებსა და სანაპირო რაიონებზე არაპროვოცირებული შეიარაღებული თავდასხმებით, რასაც ახდენენ შეიარაღებული ძალები, რომლებსაც კონტროლს უწევენ შეერთებული შტატები, აღნიშნულ რაიონში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების თავმოყრით, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მოდვაწეთა ოფიციალური განცხადებებით, რომლებიც შეიცავენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ შეიარაღებული ძალის გამოყენების მუქარას.

იმისათვის, რომ აღმოიფხვრას ის საშიში მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა კუნძულ ტაივანის რაიონში ჩინეთის საშინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევისა და ამ ბოლო დროს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების გაძლიერების გამო, საბჭოთა მთავრობამ უშიშროების საბჭოს განსახილველად შეიტანა საკითხი „ტაივანისა და ჩინეთის სხვა კუნძულების რაიონში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების შესახებ“. ამ წინადადებით საბჭოთა მთავრობა ისწრაფოდა ხელი შეეწყო ტაივანის რაიონში მდგომარეობის მოწესრიგებისა და შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

დასვა რა ეს საკითხი უშიშროების საბჭოს წინაშე, საბჭოთა მთავრობამ წინადადება წამოაყენა მიწვეულ იქნას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის წარმომადგენელი, რათა მონაწილეობა მიიღოს საბჭოში როგორც ჩინეთის კანონიერმა წარმომადგენელმა და განდევნილ იქნას უშიშროების საბჭოდან ჩანკაიშელთა წარმომადგენელი, რომელსაც უკანონოდ უჭირავს ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

როგორც ჩანს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის პასუხიდან, რომელიც გადაცემულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მეშვეობით, ჩინეთის მთავრობამ თანხმობა გამოთქვა მონაწილეობა მიიღოს უშიშროების საბჭოში საბჭოთა კავშირის მიერ შეტანილი საკითხის განხილვაში, იმ პირობით, თუ გომინდანის წარმომადგენელი გაძევებულ იქნება უშიშროების საბჭოდან, ხოლო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელი დაესწრება უშიშროების საბჭოს სხდომებს, როგორც ჩინეთის კანონიერი წარმომადგენელი.

ის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს, აგრეთვე ინგლისს, როგორც ჩანს ინგლისის მთავრობის განცხადებიდან და იმ პოზიციიდან, რომელიც უჭირავს მის წარმომადგენელს უშიშროების საბჭოში, არა სურთ ანგარიში გაუწიონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ამ სამართლიან და კანონიერ მოთხოვნას, შეუძლებელს ხდის ტაივანისა და ჩინეთის სხვა კუნძულების რაიონში არსებული მდგომარეობის საკითხის კანონიერად და მიუდგომლად განხილვას უშიშროების საბჭოში და მის მიერ ჯეროვან ღონისძიებათა მიღებას ამ რაიონში დაძაბულობის შენელებისათვის და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნულ უფლებათა დაცვისათვის.

ისახავს რა მშვიდობის განმტკიცებისა და შორეულ აღმოსავლეთში საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მიზნებს საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ შექმნილ პირობებში მიზანშეწონილია ცდა — გამოინახოს სხვა გზებიც, რომლებიც შეამსუბუქებენ აღნიშნულ რაიონში არსებული მდგომარეობის საკითხის მოწესრიგების შესაძლებლობას.

საბჭოთა მთავრობის აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ იმ ქვეყნებს, რომლებიც განსაკუთრებით დაინტერესებული არიან ტაივანისა და ჩინეთის სხვა კუნძულების რაიონში შექმნილი მდგომარეობის მოწესრიგებით, განეხილათ ეს საკითხი შესაბამის კონფერენციაზე. ასეთ კონფერენციაში შეიძლებოდა მონაწილეობა მიეღოთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად აგრეთვე ინგლისს, სსრ კავშირს, საფრანგეთს, ინდოეთს, ბირმას, ინდონეზიას, პაკისტანსა და ცეილონს.

ამ მიმართულებით ინიციატივის გამოჩენას, ჩვენი აზრით, შეძლებდნენ ინგლისი, საბჭოთა კავშირი და ინდოეთი, თუ ამას დაეთანხმებოდნენ ინგლისის მთავრობა და ინდოეთის მთავრობა.

ასეთი ინიციატივის გამოჩენა იმ სურვილების შესაბამისი იქნებოდა, რომლებიც გამოთქვა ბ-ნმა იდენმა იმის შესახებ, რომ საჭიროა ინგლისსა და სსრ კავშირის ერთობლივი ღონისძიებანი მოუწესრიგებელი საერთაშორისო პრობლემების გადასაჭრელად.

რაც შეეხება კონფერენციის მოწვევის დროსა და ადგილს, საბჭოთა მთავრობა იმ აზრისაა, რომ კონფერენცია შეიძლება მოწვეულ იქნას მიმდინარე წლის თებერვალში შანხაიში ან ნიუ-დელში.

საბჭოთა მთავრობა იმედს გამოთქვამს, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა განიხილავს საბჭოთა მთავრობის ამ მოსაზრებებს და აცნობებს მას თავის აზრს“.

იმავე დღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ინდოეთის საქმეთა დროებითი რწმუნებული სსრ კავშირში პ. კაული და გადასცა მას საბჭოთა მთავრობის ანალოგიური განცხადება კუნძულ ტაივანისა და ჩინეთის სხვა სანაპირო კუნძულების რაიონში შექმნილი მდგომარეობის საკითხზე.

დაწყებული მოლაპარაკება გრძელდება. (საკვლევი).

კოლმეურნეობა აღმავლობის გზაზე

ერთი წლის წინათ

მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის საანგარიშო - საარჩევნო კრებაზე

რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებში, მტს-ში ხშირად არის ლაპარაკი საშუალო დონის კოლმეურნეობაში — სოფელ წილკნის კოლმეურნეობაში არსებულ რეზერვებზე, შესაძლებლობებზე, რომელთა გამოყენებით შეიძლება მიღწეულ იქნას საზოგადოებრივი მეურნეობის აღმავლობა. ეს პირობები წინა წლებშიც ჰქონდა ამ სასოფლო-სამეურნეო არტელს, მაგრამ მათ ვერ იყენებდნენ. მდგომარეობა უცვლელი იყო. როგორც იტყვიან, ასე თუ ისე ბოგინობდა კოლმეურნეობა.

როცა 1953 წლის მუშაობის ანგარიშს განიხილავდნენ, კოლმეურნეები გულისტკივილით ეცნობოდნენ არასახარბიელო შედეგების მაუწყებელ ციფრებს: საშუალოდ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 15 ცენტნერის ნაცვლად მიიღეს 4 ცენტნერი შემოდგომის ხორბალი. გეგმა 26 ცენტნერი სიმინდის მიღებას ითვალისწინებდა, ფაქტიურად მოიყვანეს 19 ცენტნერი, ვერ შეასრულეს გაზაფხულის ხორბლისა და ბოსტნეულის მოსავლიანობის გეგმები. საშუალოდ ერთ საფურაქე ძროხაზე მხოლოდ 425 ლიტრი რძე მიიღეს. ასევე ჩამორჩენილი იყო სხვა დარგებიც. გათვალისწინებული ერთი მილიონ 523 ათასი მანეთის ნაცვლად ფულადმა შემოსავლმა შეადგინა 403.800 მანეთი, თვითეულ შრომადღეზე განაწილდა 4 კილოგრამი მარცვლეული, ფული კი არ განაწილებულა.

გარდატეხის დასაწყისი

ეს იყო 1953 წლის შედეგები. მას შემდეგ კოლმეურნეობის ცხოვრებაში არსებითი ცვლილებები მოხდა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის, პარტიისა და მთავრობის მიერ შემდგომ მიღებულმა დადგენილებებმა აამოქმედა საკოლმეურნეო ძალები. გაჩაღდა ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის შემოქმედებითი შრომა.

1954 სამეურნეო წელი დასრულდა. კოლმეურნეობამ შეაჯამა გაწეული მუშაობის შედეგები. ამ დღეებში კოლმეურნეები შეიკრიბნენ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე. ოთხასამდე კოლმეურნე გულდასმით, ინტერესით ისმენდა გამგეობის თავმჯდომარის ამხ. შ. პაპავაძის საანგარიშო მოხსენებას.

— მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვა კოლმეურნეებისათვის, — განაცხადა მომხსენებელმა ამხ. პაპავაძემ, — ჩვენი წინსვლისა და გამარჯვების დაუშრეტელი წყაროა. თქვენ გახსოვთ, ამხანაგებო, როგორ ჩამორჩებოდა წინა წლებში ჩვენი კოლმეურნეობა, რა შედეგები გვქონდა. ამ მწარე გაკვეთილიდან კოლმეურნეებმა სათანადო დასკვნები გააკეთეს და შარშან ცუდად როდი იმუშავეს. კოლმეურნეობა აღმავლობის გზას დაადგა.

როგორია გასულ წელს გაწეული მუშაობის შედეგები? ამაზე თვით ციფრები მეტყველებენ. საშემოდგომო ხორბალი საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 15,8 ცენტნერი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 15 ცენტნერისა, შესრულებულია გაზაფხულის ქერის საშუალო მოსავლიანობის დავალება. მაგრამ ვერ შეასრულეთ გაზაფხულის ხორბლის მოსავლიანობის დავალება.

ხმები ადგილიდან: ამ დარგში ცუდად უმუშავნია გამგეობას.

— მართალია. ჩამორჩენის მიზეზი ის არის, რომ ყველა ბრიგადა როდი მუშაობდა კარგად, გამგეობაც ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე. ავიღოთ პირველი და მეორე ბრიგადები, რომლებსაც მუშაობის ერთნაირი პირობები აქვთ. მათს შედეგებში კი დიდი სხვადასხვაობაა. პირველმა ბრიგადამ შარშან 8.112 შრომადღე დახარჯა, 64 ჰექტარზე მიიღო 81.8 ტონა ხორბალი, 28 ჰექტარზე — 16 ტონა გაზაფხულის ქერი, 30 ჰექტარზე — 110 ტონა სიმინდი. მეორე ბრიგადამ კი დახარჯა 6.541 შრომადღე და 63 ჰექტარზე მოიყვანა 102,8 ტონა ხორბალი, 29 ჰექტარზე — 27,4 ტონა გაზაფხულის ქერი, 29 ჰექტარზე — 120 ტონა სიმინდი.

ჩვენს რაიონში და, კერძოდ, წილკნის კოლმეურნეობაში დიდი შესაძლებლობებია მებოსტნეობის განვითარებისათვის. მით უმეტეს, რომ ახლოს ვართ დედაქალაქთან — თბილისთან. ამ დარგში ცოტა რამ გავაკეთეთ სექტემბრის პლენუმის დადგენილების განსახორციელებლად.

როგორც ხედავთ, ყველა უბანზე ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული არსებული რეზერვები და შესაძლებლობანი.

ხმები ადგილიდან: ამას ხელს უწყობს შრომის მოუწესრიგებლობაც.

— სწორია. არიან ბრიგადები, რომლებშიც ცუდად აღრიცხავენ შრომადღეებს, დარიცხავც შეუწყნარებლად ჭიანურდება. ყოველ ხუთ დღეში ყველგან როდი ადგენენ უწყისებს, არც შრომის წიგნაკებში წერენ შრომადღეებს. კოლმეურნეთა ნაწილს არა აქვს შრომის წიგნაკი და არ იცის სად და რამდენი შრომადღე გამოიმუშავა.

სოფლის მეურნეობაში სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგის — საზოგადოებრივი მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობისათვის ერთგვარი ნაბიჯებია გადადგმული. გასულ წელს შეძენილ იქნა 28 სული ჯიშიანი პირუტყვი. წინა წელთან შედარებით თითქმის ორჯერ მეტი უხეში და წვნიანი საკვები დამზადდა პირუტყვისათვის, თვითეული საფურაქე ძროხის წველადობა 234 ლიტრით გაიზარდა. მაგრამ წველადობის წლიური დავალება მაინც არ შესრულებულა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ შარშან პირუტყვის მოვლა-პატრონობა ცუდად იყო დაყენებული, აგრეთვე შეფერხდა ძროხების ბაგურ კვებაზე გადაყვანა.

შემოდგომიდან ეს ღონისძიება განხორციელდა და შედეგებიც უკეთესია. ბაგურ კვებაზე გადაყვანილი ძროხების წველადობამ ერთთორად იმატა.

გამოცდილება ცხადყოფს...

საანგარიშო კრებაზე ვრცლად შეეხნენ ყველა საკითხს. განსაკუთრებით აღინიშნა, რომ პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა ისევე აუცილებელია, როგორც ხვნა-თესვის აგროწესების ზუსტად დაცვა. საკვები ბაზა მეცხოველეობის განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების საფუძველია. გამოცდილება ცხადყოფს, რომ საკვები ბაზის ფონდში დიდი მნიშვნელობა აქვს სიმინდის კულტურას. წილკნელებს ყველა პირობა აქვთ განავითარონ ეს კულტურა და დიდი რაოდენობით მიიღონ ყუათიანი საფურაქე მარცვლეული და სასილოსე მასა.

შარშან წილკნელმა კოლმეურნეებმა პირველად მიიღეს არხით არაგვის წყალი. იგი უზრუნველყოფს ვრცელი ფართობების მორწყვას. წილკნელები ნათლად დარწმუნდნენ პროგრესულ ღონისძიებათა, მოწინავე გამოცდილების დანერგვის აუცილებლობაში. გასულ წელს კვადრატულ-ბუდობრივი წესით დათესეს 31 ჰექტარი სიმინდი და აქედან იმდენი მოსავალი მიიღეს, რამდენიც მთლიანად დანარჩენ 150 ჰექტარზე. კოლმეურნე ვ. ძამაშვილმა 1,5 ჰექტარზე 12,7 ტონა სიმინდი მოიყვანა და პრემია-წანამატის სახით ერგო 2,2 ტონა სიმინდი. ამდენსავე ფართობზე ს. წიკლაურმა 11,3 ტონა სიმინდი მოიყვანა, პრემიად ერგო 1,8 ტონა სიმინდი.

მაღალი მოსავალი მიიღეს მებოსტნეებმა მარიამ ოქრუაშვილმა, მარიამ ბერიკაშვილმა. თვითეულმა მათგანმა 0,5 ჰექტარზე უზრუნველყო 14,5 ტონა პომიდორის მიღება. მაგრამ იყო სხვა კარგი ნაკვეთებიც, რომლებსაც ზ. სიმონიშვილი, გ. ჩილინდრიშვილი, ე. ანდრიაშვილი და მ. დიაკვნიშვილი უვლიდნენ. მათ დაარღვიეს დამუშავების აგროწესები, უგულებელყვეს პროგრესულ ღონისძიებათა მნიშვნელობა, რასაც არასახარბიელო შედეგები მოჰყვა, მოსავლიანობის გეგმები სანახევროდაც ვერ შესრულეს.

კოლმეურნეები ვერ დააკმაყოფილა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის გ. გულაშვილის ანგარიშმა. იგი ზერელე იყო. კოლმეურნეები დარწმუნდნენ სარევიზიო კომისიის უუნარობაში და მოითხოვეს მისი გადარჩევა.

შემდეგ კრებამ მოისმინა აგრონომ შ. აზიკურის ანგარიში მეცხოველეობის მტს-ის მიერ კოლმეურნეობასთან დადებული ტიპური ხელშეკრულების შესრულების შესახებ. აქედან ნათელი გახდა, თუ რამდენად გაუმჯობესა მტს-მა ამ კოლმეურნეობისადმი დახმარება, რამდენად ამაღლდა მისი ორგანიზატორული როლი.

მტს-მა გადაჭარბებით შეუსრულა კოლმეურნეობას მოსავლის აღების, საშემოდგომო ხვნისა და თესვის დავალებანი. ისიც აღინიშნა, რომ მტს-ს არ შეუსრულებია კოლმეურნეობაში მზრალად ხვნის, ჯვარედინად თესვის გეგმები.

მოხსენებათა გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს კოლმეურნეებმა შ. მგლაშვილმა, ა. მაკარაშვილმა, მ. სიმონიშვილმა, ა. ლაშაურმა, მ. ბერიკაშვილმა, ზ. ცოცაშვილმა, პარტიის მცხეთის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. სეხნიაშვილმა და სხვებმა.

მტკივნეული საკითხები

მოკამათეებმა განსაკუთრებით ყურადღება გაამახვილეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის ზრდის საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, აღნიშნეს მებოსტნეობის ჩამორჩენა და გააკრიტიკეს გამგეობა იმისათვის, რომ მან ვერ უზრუნველყო ამ დარგების მნიშვნელოვნად დაწინაურება. ამავე დროს წინადადება წამოაყენეს, რომ მტს-მა წელს აუცილებლად განახორციელოს მექანიზაცია მებოსტნეობაში. ეს დარგი დიდ შემოსავალს აძლევს კოლმეურნეობას. მაგრამ, — აღნიშნავდნენ მოკამათეები, — მას სერიოზული ყურადღება არ ექცევა. შარშან მიღებული მოსავალიც სათანადოდ ვერ გამოვიყენეთ. დამამზადებელ ორგანიზაციებს დიდი დაგვიანებით მიჰქონდათ პამიდორი, კიტრი. ამის გამო დიდი ნაწილი ფუჭდებოდა. ამან საგრძნობი ზარალი მოგვაყენა.

კოლმეურნეებმა ერთსულოვნად მოიწონეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილება „მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ“. იგი წარმოადგენს სამოქმედო პროგრამას ჩვენს ქვეყანაში მეცხოველეობის პროდუქტების საკმაო რაოდენობით შესაქმნელად. ეს გულისთქმა მათ ნათლად ასახეს კრებაზე მიღებულ ღონისძიებებში, სადაც აღნიშნულია, რომ წელს თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიიღონ 900 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 800 ლიტრისა, ხორბლის მოსავლიანობა საშუალოდ ჰექტარზე აიყვანონ 20 ცენტნერამდე, სიმინდისა — 50 ცენტნერამდე, შექმნან პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზა, სიმინდის მთელი ფართობის 50 პროცენტზე მეტი კვადრატულ-ბუდობრივი წესით დათესონ. ამავე დროს მიიღწიონ სიმინდის, როგორც ძვირფასი საფურაქე და სასილოსე კულტურის შემდგომ განვითარებას.

ღონისძიებებში გათვალისწინებულია პროგრესული მეთოდების, მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვა წარმოებაში და მთელი რიგი სხვა საკითხები, რომელთა განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის მკვეთრი აღმავლობა.

საანგარიშო-საარჩევნო კრებამ აირჩია გამგეობისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობა. კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ამხ. შ. პაპავაძე, ხოლო სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე გ. გულაშვილი, რომელმაც თავი ვერ გაართვა მინდობილ საქმეს, კოლმეურნეებმა არ აირჩიეს.

დასკვნა ერთია. შარშან გაწეული მუშაობის მთავარი მონაპოვარია კოლმეურნეობის ეკონომიკის გაძლიერება. ფულადმა შემოსავალმა 1 მილიონ 293 ათას მანეთს მიაღწია. თვითეულ შრომადღეზე განაწილდა 5 მანეთი და 11 კილოგრამი მარცვლეული.

ასეთია სექტემბრის პლენუმის შემდეგ განვლილი ერთი სამეურნეო წლის შედეგები. ეს ეცოტავებათ წილკნელებს. ამიტომ დადგაწყვიტეს წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მაღალი მოსავალი მიიღონ, განუხრელად განახორციელონ პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილება და მეცხოველეობა გადააქციონ მოწინავე, რენტაბელურ დარგად.

ამ პირობას ისინი შეასრულებენ და უფრო მდიდარი, უფრო სასიხარულო იქნება წილკნელთა ხვალინდელი დღე.

ნ. ჯანჯღავა.

ვილაპარაკოთ მშობლებზე...

86-ე საშუალო სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლე ვილიამ გრიგორიანი ცუდად სწავლობს, დისციპლინას არღვევს. მასწავლებლებმა რამდენჯერმე სთხოვეს მოსწავლის მშობელს გ. კ. გრიგორიანს:

— მობრძანდით სკოლაში, დაინტერესდით თქვენი შვილის სწავლითა და ყოფაქცევით!

მაგრამ მშობელმა ეს იწყინა, მედიდური გამომეტყველება მიიღო და ამაყად მიუგო მასწავლებლებს:

— თქვენ უნდა იცოდეთ, რომ მე სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საქმეებით ვარ გადატვირთული.

რამდენიმე დღის შემდეგ გ. კ. გრიგორიანი ქუჩაში შეხვდა თავისი შვილის კლასის ხელმძღვანელს, მაგრამ ვითომ ვერ იცნო, არც კი მიესალმა, მხარი აუქცია, მეორე ტროტუარზე გადაეცა...

სამწუხაროდ, ასეთი მშობლები კიდევ გვხვდებიან. ისინი ასე ფიქრობენ: „ჩვენი საქმეა ვკვებოთ ბავშვები, ჩავაცვათ მათ, მათი აღზრდა კი სკოლას ევალება“. ისინი იმასაც კი ამბობენ, რაკი ჩვენი ბავშვი ჩამორჩება, ეს უსათუოდ სკოლისა და მასწავლებლის ბრალიაო. მაგალითად, 99-ე სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლის ედემალ არაქელოვის დედის აზრით, მასწავლებლები არიან დამნაშავენი, რომ მისი შვილი ცუდად სწავლობს და თანაც ხულიგნობს.

არიან ასეთი მშობლებიც, რომლებსაც თავიანთი შვილები უცოდველ ანგელოზად მიაჩნიათ, ვერ წარმოუდგენიათ, თუ რაიმე დანაშაულს ჩაიდენენ ან წესრიგს დაარღვევენ. 89-ე საშუალო სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლე თეგზაძის მამას აცნობეს, რომ მისი შვილი გაკვეთილებს აცდენს, ცუდად იქცევა, და სკოლაში მიიწვიეს. მამა აღაშფოთა არა შვილის საქციელმა, არამედ ამ მიწვევამ.

ზოგიერთი მშობელი ბავშვისადმი დათმობის გზას ადგას, ასწავლის მას არაგულწრფელობას, უპატიოსნებას. მშობელმა სუსლოვსკიმ თავის შვილს ვიტიას, რომელიც 82-ე სკოლაში სწავლობს, მასწავლებლის თანდასწრებით დიდი „ლექცია“ წაუკითხა დისციპლინის სისტემატური დარღვევისათვის. მაგრამ მასწავლებელი თვალს მიეფარა თუ არა, შვილს ასე მიმართა:

— ნუ გეშინია, ვიტია, მე შენ გტუქსავდი იმისათვის, რომ აქ მასწავლებელი იყო. ახლა შენი ნებაა, თავისუფლად ინავარდე, როგორც გსურს, ისე მოიქეცი.

ვილაპარაკოთ იმ მშობლებზეც, რომლებსაც სრულებითაც არ აწუხებთ ბავშვის აღზრდა და ნაცვლად იმისა, რომ ხელი შეუწყონ მას სწავლაში, პირიქით, ხელს უშლიან. ამ მშობლთა რაცხვს მიეკუთვნება თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მუშაკი ი. ა. ქუმელაშვილი, რომელიც კვირაში ორ-სამჯერ თვრება და შინ მისვლისას სცემს ოლოსა და ბავშვებს. განსაკუთრებით შესამჩნევია ეს უკანასკნელი 3-4 წლის მანძილზე. აი ამის შედეგიც: უმცროსი შვილი ბიჭიკო ქუმელაშვილი, 89-ე სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლე, მამის მიბაძვით დისციპლინას და საზოგადოებრივ წესრიგს არღვევს, უფრო ხშირად ქუჩაშია. უფროსი შვილი კი, რომელიც მეცხრე კლასშია, სკოლაში მიდის უძილო, ნამტირალევი თვალებით. მამა არასოდეს სკოლაში არ ცხადდება, მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე გამოიძახეს.

ბევრი მშობელი სათანადო ზომებს არ იღებს იმისათვის, რომ აღიკვეთოს ბავშვთა ქულიგანობის შემთხვევები. გასულ სასწავლო წელს 81-ე საშუალო სკოლის მოსწავლეს მნაცაკანოვს აღმოუჩინეს სახლიდან მოპარული ვერცხლის პორტსიგარი და 100-მანეთიანი ვ-პროცენტიანი ობლიგაცია. ეს ეცნობათ მშობლებსაც, მაგრამ მათ არავითარი ზომა არ მიიღეს. რამდენიმე თვის შემდეგ მნაცაკანოვი დაპატიმრებულ იქნა სისხლის სამართლის დანაშაულისათვის.

ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ერთ მნიშვნელოვან ფაქტს. თითქმის წესად იქცა, რომ სკოლაში შვილის საქმეზე ხშირად მიდის დედა, ხოლო მამა იშვიათად ან სულ არ დაიარება იქ. ზოგიერთი მამა მიწვევაზეც უარს ამბობს. მაგალითად, მშობელმა ს. ხუჭუამ, რომლის ბავშვი 89-ე სკოლაში სწავლობს, სკოლის დირექტორის მიწვევაზე წერილობით ასე უპასუხა: „პატივცემულო დირექტორო, სკოლაში მოსვლა არ შემიძლია, რადგან მე სხვა სახის სამსახური მაქვს. დიდი ბოდიშით სერგო ხუჭუა“.

ჩვენ ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ ის მშობლები, რომლებიც თავიანთ შვილებს ანებივრებენ, წესიერად არ ზრდიან. ასეთ მშობელთა კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ ისანიც, ვინც თავიანთ შვილებს ურჩევენ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ თუ უმაღლეს სასწავლებელში ვერ მოხვდნენ, სახლში ისხდნენ და არაფერი არ აკეთონ. 1951-1954 წლებში საშუალო სკოლა დაამთავრეს ასმიკ მიკირტიჩიანმა, ზაზილა ბორაშვილმა, ჯულიეტა სოკრატიანმა, ასმიკ ბალდასარიანმა, ცისანა სომხიშვილმა და სხვებმა. რაკი უმაღლეს სასწავლებელში ვერ მოხვდნენ, მათ ბედის მოლოდინში გულხელი დაიკრიფეს, სამუშაოდ არ მიდიან უშუალოდ წარმოებაში, ხოლო მშობლები ასე ამხნევებენ: „დაისვენეთ, რა გეჩქარებათ მუშაობა, ჯერჯერობით ჩვენ შეგვიძლია გარჩინოთო“.

ამ საკითხებზე, მშობლებზე და სკოლაზე, ბავშვთა კომუნისტურ აღზრდაზე ლაპარაკი იყო ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის სკოლების მოსწავლეების მშობელთა აქტივის კრებაზე, რომელიც გაიმართა სომხური დრამის თეატრის შენობაში. მოხსენება გააკეთა პარტიის რაიკომის მდივანმა ამხ. ს. ჩხარტიშვილმა, კამათში მონაწილეობა მიიღეს მშობლებმა და პედაგოგებმა ა. კოტკალოვმა, ს. მანუკიანმა, ნ. პიატაკოვამ, მ. სვანიძემ, უ. ტუპიკინამ, მეგრელიძემ, ხვადაგაძემ, კუზმინამ, გავრილიევმა და სხვ.

აუცილებელია ძირეულად გაუმჯობესდეს სკოლისა და ოჯახის დამოკიდებულება, აუცილებელია ყველა მშობელს ნამდვილად აინტერესებდეს თავისი შვილის აღზრდა, განათლება — აი რაზე გაამახვილეს ყურადღება მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში



ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა წარმატებით ,ახორციელებს ეკონომიური მშენებლობის პირველ ხუთწლიან გეგმას. მრეწველობის დარგში განხორციელდა 1953-1958 წლებში აშენდეს და რეკონსტრუირებულ იქნას დაახლოებით 600 დიდი სამრეწველო ობიექტი. აქედან მრავალი საწარმო უკვე მწყობრში ჩადგა.

თავის მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში ჩინელ ხალხს უანგარო ძმურ დახმარებას უწევს საბჭოთა ხალხი. საბჭოთა ხალხის დახმარებით გასული წლის ბოლოს ამუშავდა ხარბინის ლითონსაჭრელი ინსტრუმენტებისა და საზომი ხელსაწყოების-ქარხანა, რომელიც პირველია რესპუბლიკაში. მშენებლობა სულ წელიწადნახევარს გრძელდებოდა. მოწონაე საბჭოთა ტექნიკოთ აღჭურვილი ეს ქარხანა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩინეთის მანქანათმშენებელი მრეწველობის განვითარებაში.

სურათზე: საბჭოთა კავშირიდან მიღებული ახალი მღარავი დაზგა ხარბინის ლითონსაჭრელი ინსტრუმენტებისა და საზომი ხელსაწყოების ქარხანაში.

სინხუას სააგენტოს ფოტო.

★

დიდი კაპიტალური მშენებლობანი

გაზეთ „უენმინყიბაოს“ ცნობით, 1955 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობის მოცულობა გასულ წელთან შედარებით 40 პროცენტით უნდა გადიდდეს. დაჩქარდება შარშან დაწყებული მთელი რიგი ქარხნების, ზახტებისა და ელექტროსადგურების მშენებლობა. აქედან მრავალი მათგანი იმ 141 სამრეწველო საწარმოთა რიცხვში შედის, რომლებიც საბჭოთა კავშირის დახმარებით შენდება.

მიმდინარე წელს ამუშავდება 30-მდე თბოელექტროცენტრალი და ჰიდროსადგური. ქარხნების, ზახტებისა და სხვა მომხმარებელთა ელექტროენერგიით უზრუნველსაყოფად აშენდება 10 მაღალვოლტიანი გადამცემი ხაზი.

მნიშვნელოვნად გადიდდება კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა რკინიგზისა და საირიგაციო მშენებლობაში. დაახლოებით ორი მესამედით გადიდდება სამუშაოთა გეგმა ჩინეთის ნავთობის სბადოების ძიებაში.

იზრდება მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა

როგორც ეურნალი „ნაროდნი კიტაი“ იუწყება, 1954 წელს წინა წელთან შედარებით, წყალდიდობის მიუხედავად, მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალი ჩინეთში 3 პროცენტით გადიდდა.

არასრული სტატისტიკური ცნობებით, 1954 წელს მარცვლეული კულტურები დათესილი იყო 128 მილიონ ჰექტარზე, რაც 2,3 მილიონი ჰექტარით აღემატება 1953 წლის ნათესებს.

შარშან აღებულ იქნა პურის მეტად უხვი, ჩინეთის ისტორიაში უმაგალითო მოსავალი, რაც 27 პროცენტით აღემატება წინა წლის მოსავალს. ადრეული ბრინჯის მოსავალი გადიდდა 10 პროცენტით. თუმცა ბრინჯის საერთო ნათესები მეტად დაზიანდა წყალდიდობით, მოსავალი 1953 წელის დონეზე ნაკლები მაინც არ აღმოჩნდა.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების საერთო მოსავალი შარშან 1953 წელთან შედარებით 2 პროცენტით გადიდდა.

საფრანგეთისა და ინგლისის პრესა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის შესახებ

პარიზი, 9 თებერვალი. (საკდისი). პარიზის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიას. გაზეთმა „ორორამა“ დღეს ორგვერდნახევარი მიუძღვნა ამ საკითხს, მოათავსა საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთა ათზე მეტი ფოტოსურათი, აგრეთვე მრავალი გამოხმაურება ვაშინგტონიდან, ლონდონიდან, ბონიდან და დასავლეთის სხვა ქვეყნების დედაქალაქებიდან.

გაზეთმა „ფრან ტირერმა“ გამოაქვეყნა უმაღლესი საბჭოს სესიაზე ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების მოკლე შინაარსი. გაზეთი მოხსენებაში გამოპყოფს იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერებასა და წყალბადის იარაღის წარმოების დარგში მის წარმატებებზე, მოხსენების იმ ადგილებს კი, სადაც ნათქვამია, რომ საბჭოთა მთავრობა ესწრაფვის საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას, გაზეთი არ ბეჭდავს.

ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების გამო კომენტარები დაბეჭდა გაზეთმა „ლუმანიტემ“. გაზეთი წერს:

„მალენკოვის განთავისუფლებისა და ბულგანინის დანიშვნის შემდეგ დაიწყო დისკუსია მოლოტოვის სიტყვის გამო საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. ეს სიტყვა უეჭველს ხდის იმას, რომ სსრ კავშირი დარტყმით უპასუხებს დარტყმაზე, თუ მას თავს დაესხნენ; რომ გადაწყვეტილებას რევანშისტული გერმანიის შეიარაღების შესახებ აუცილებლად მოჰყვება სამხედრო სარდლობის გაერთიანება, რაც მოსკოვის თათბირზე გითვალისწინეს.

სსრ კავშირი კვლავაც შესთავაზებს მთელ მსოფლიოს მშვიდობიან თანაარსებობას; იგი ამავე დროს კვლავაც დაუცხრომლად ეცდება აამაღლოს საბჭოთა მოქალაქეების ცხოვრების დონე და გაუმჯობესოს მათი კეთილდღეობა; იგი, მთელი მსოფლიოს მშრომელთა თანაგრძნობითა და ხალხთა ნდობით გარემოსილი, რომელიც მადლერი არიან მისი ღონისძიებებისათვის, წავა წინ კომუნიზმის გზით მშვიდობის საქმის გამარჯვებამ მისაღწევად“.

პარიზი, 10 თებერვალი. (საკდისი). პარიზის გუშინდელი საღამოს გაზეთები კვლავ კომენტარს უკეთებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიას და ვ. მ. მოლოტოვის მოხსენებას საერთაშორისო მდგომარეობისა და სსრ კავშირის მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ. გაზეთების უმრავლესობამ გამოაქვეყნა ამ მოხსენების დაწერილებითი შინაარსი და გამოპყო ის ადგილები, სადაც ლაპარაკია კუნძულ ტაივანის, გერმანიის პრობლემის, ოთხი საგელმწიფოს მოლაპარაკების პერსპექტივების, წყალბადის იარაღის შესახებ.

გაზეთი „ფრანს-სუარი“ წერს: „კომუნისტური და კაპიტალისტური სამყაროების თანაარსებობის პრინციპი, მოლოტოვის სიტყვით, რჩება მოსკოვის საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპად. ამასთან დაკავშირებით მოგვგონდეს... განცხადებას, რომელიც ხრუშჩოვმა გაუკეთა ამერიკელ ჟურნალისტებს უმცროს ჰერსტსა და კინგსბერი სმიტს.

ხრუშჩოვმა ამერიკის საზოგადოებრივ აზრს მოუწოდა სიმშვიდისა და თანამშრომლობისაკენ, „ძაძაზულობის შენელებისა და მოლაპარაკებისაკენ“.

პარიზი, 10 თებერვალი. (საკდისი). ფრანს პრესის საგენტოს გადმოგვცემს მორის ბერგენის ხელმოწერილ კომენტარებს ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების იმ ნაწილის შესახებ, რომელშიც ლაპარაკია საბჭოთა კავშირის წარმატებებზე ატომის ენერგიის ათვისების დარგში.

ეჭვი არ არის, წერს ბერგენი, რომ როცა მოლოტოვი ლაპარაკობდა „დიდ წარმატებებზე“, რომელსაც საბჭოთა კავშირმა მიაღწია წყალბადის იარაღის წარმოების დარგში, მისი განცხადება ემყარებოდა კონკრეტულ ფაქტებს, რომლებიც შემოწმებული აქვთ დასავლეთის ქვეყნებს.

პარიზი, 10 თებერვალი. (საკდისი). გაზეთმა „ლიბერასიონმა“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის შედეგებს მიუძღვნა მოწინავე სტატია. იგი წერს:

მოსკოვში წარმოთქმულმა სიტყვებმა დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირი სერიოზულად ეკიდება გერმანიის შეიარაღების საკითხს. მას აღელვებს ფარული აზრი, რომლის არსებობას იგი ხედავს უარში აწარმოონ მასთან მოლაპარაკება (ბაშინაც კი, როცა იგი თანახმაა საფუძვლად მიღებულ იქნას წინადადებანი, რომლებიც დასავლეთის ქვეყნებმა გააკეთეს რამდენიმე თვის წინათ); ფარული აზრი, რაც, მისი აზრით, თავს იჩენს სიჯიუტით, რომლითაც სურთ ჯარისკაცები გადასცენ ჰიტლერულ გენერლებს, ამერიკის შეერთებული შტატების უგუნური სამხედრო ხარჯვებით, ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ორგანიზაციის გადაწყვეტილებებით.

სინანულის ღირსია ის, რომ საფრანგეთის მთავრობამ დაუშვა დაძაბულობის შენელების ყოველდღიურად მზარდი შანსების შემცირება.

ლონდონი, 9 თებერვალი. (საკდისი). გამოხმაურებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გამო ლონდონის გაზეთები დიდ ადგილს უთმობენ „საერთაშორისო მდგომარეობისა და სსრ კავშირის მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ“ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების შინაარსის გადმოცემას.

ყველა პროვინციული გაზეთი ბეჭდავს რეიტერის საგენტოს ცნობას ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების შინაარსით, ამასთან თავს იკავებს კომენტარისაგან. „მანჩესტერ გარდიანი“, გარდა ამისა, აქვეყნებს თავისი დიპლომატიური მიმომხილველის სტატიას, რომელშიც აგრეთვე მოცემულია ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების ძირითადი პუნქტები. გაზეთები გამოყოფენ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების იმ ნაწილს, სადაც იგი ლაპარაკობს ძალთა თანაფარდობაზე წყალბადის იარაღის დარგში.

ლონდონი, 10 თებერვალი. (საკდისი). ინგლისის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის სიტყვას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე. გაზეთი „ტაიმსი“ აქვეყნებს ერცელ ამონაწერებს ნ. ა. ბულგანინის სიტყვიდან და სათაურში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმას, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა მძიმე მრეწველობის განვითარების აუცილებლობა. სხვა გაზეთები განსაკუთრებით აღნიშნავენ მის სიტყვებს იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი მტკიცედ უჭერს მხარს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავიროზის პოლიტიკას ტაივანის საკითხში. ზოგიერთი გაზეთი ცდილობს ის გარემოება, რომ საბჭოთა თავმრობა მხარს უჭერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებებს, ახსნას როგორც „მუქარა დასავლეთისადმი“.

გაზეთების უმრავლესობა ცდილობს შეამციროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეკლარაციის მნიშვნელობა მშვიდობის განმტკიცების საქმისათვის.

ზოგიერთი ბურჟუაზიული გაზეთი ცდილობს ეჭვიც კი გამოიწვიოს მკითხველებში, ბოროტი განზრახვით ამახინჯებს რა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას, რომელიც მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკაა.

ლონდონი, 10 თებერვალი. (საკდისი). რეიტერის საგენტოს ცნობით, გუშინ ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა განცხადება გააკეთა ლონდონში ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების გამო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 8 თებერვლის სხდომაზე. „ჩვენ აღენიშნეთ, — თქვა მან, — რომ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა განცხადა, რომ მისი მთავრობა მთელ მსოფლიოში დაძაბულობის შენელების მომხრეა“.

მაგრამ შემდეგ სამინისტროს წარმომადგენელი შეეცადა საეჭვოდ მიეჩნია სსრ კავშირის მთავრობის ეს მისწრაფება.

დიადი მეგობრობა

თვითეული ხალხის კალენდარში ცოტა როდია მისთვის ძვირფასი და ღირსშესანიშნავი თარიღი. მაგრამ არის ისეთი თარიღებიც, რომელთა მნიშვნელობა სცილდება ეროვნულ ჩარჩოებს და რომლებიც აღსილია ღრმა აზრით ყველა ქვეყნის მილიონობით ადამიანისათვის. ასეთ თარიღებს ეკუთვნის 1950 წლის 14 თებერვალიც. ამ დღეს საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის დაიდო ხელშეკრულება მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების შესახებ.

ამ თარიღს ზეიმით აღნიშნავენ არა მარტო საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხალხები, არამედ მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხიც.

და ეს შემთხვევითი როდია.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე მაო ძე-დუნი აღნიშნავდა, რომ ამ ხელშეკრულებით განმტკიცებული საბჭოთა და ჩინელი ხალხის მეგობრობა მტკიცე და ურყევია. ეს მეგობრობა უეჭველად მოახდენს გავლენას არა მარტო ორი დიდი სახელმწიფოს — ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის აყვავებაზე, არამედ მთელი კაცობრიობის მომავალზეც.

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის კავშირი არის კავშირი ორ სახალხო სახელმწიფოს შორის, რომლებისთვისაც უცხოა მისიმპერიალისტური დამონება და რომლებიც აღსილი არიან მზურვალე და გულწრფელი სურვილით დაეხმარონ ერთმანეთს, მიაღწიონ საერთო აყვავებას. სრული თანასწორუფლებიანობა, ურთიერთ ინტერესების გათვალისწინება, სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა — ასეთია ის პრინციპები, რომლებზეც დაფუძნებულია საბჭოთა კავშირ-ჩინეთის კავშირი. და სწორედ იმიტომ, რომ ეს კავშირი გამომდინარეობს ორივე ხალხის ძირეული ინტერესებიდან, იგი მტკიცე და ურყევია.

ხელშეკრულების დადების შემდეგ განვლილი ხუთი წლის მანძილზე მსოფლიოს ხალხებს არაერთხელ ჰქონდათ შემთხვევა დარწმუნებულიყვნენ ამ ისტორიული მოვლენის, როგორც მშვიდობის შენარჩუნებისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის ფაქტორის, უდიდეს მნიშვნელობაში. ამ ხელშეკრულების ისტორიული ამოცანები და მიზნები დიდი და საპატიოა. მის ძირითად მიზანს წარმოადგენს მშვიდობის ერთობლივი დაცვა შორეულ აღმოსავლეთში, იაპონის მილიტარიზმის აღორძინებისა და სხვა რომელიმე სახელმწიფოს მხრივ აგრესიის გამეორების დაუშვებლობა, აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარება თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთ ინტერესების დაცვის საფუძველზე.

ამ ხელშეკრულების დადების მომენტში ყველას როდი ესმოდა მისი თანადროულობა და მნიშვნელობა. არ გასულა რამდენიმე თვეც, რომ ამერიკელმა იმპერიალისტებმა თავს მოახვიეს კორეელ ხალხს სისხლისმღვრელი ომი იმ მიზნით, რომ შემდეგ მთელ აზიაში გავრცელებინათ იგი და ამით ახალ მსოფლიო ომში ჩაეთრიათ კაცობრიობა. მაგრამ ოკეანესგაღმელი აგრესორები, რომელთა ბნელ ზრახვებს წინააღუდგა საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხალხების მტკიცე სიმშვიდე და ძლიერება, იძულებული გახდნენ შეეწყვიტათ ცეცხლი კორეაში.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ხელშეკრულებას ამჟამად, როცა ამერიკის მთავრობა დაადგა ტაივანისა და პენხულედაოს კუნძულების რაიონში მდგომარეობის გამწვავების საშიშ გზას და კვლავ განაგრძობს აზიაში ომის პროვოცირების პოლიტიკას. „...ეს კუნძულები ხელში ჩაიგდეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და იქ თავიანთი ფულით ინახავენ ჩინეთიდან გაძევებულ ჩან კაი-შის დანაშაულებრივ ბანდას, მისი დაქირავებული ჯარების დახმარებით ამზადებენ ჩინეთზე თავდასხმას. უკანასკნელ ხანს საქმე იქამდე მივიდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი და კონგრესი ისე გაიტაცა მათმა „ძალის პოლიტიკამ“, რომ აშკარად იმუქრებიან ომით ჩინელ ხალხს, რომელიც იცავს თავის უფლებებს ამ კუნძულების მიმართ და თავის ეროვნულ ღირსებას და სუვერენიტეტს აგრესორის წინააღმდეგ“ (ვ. მ. მოლოტოვი). მაგრამ ჩინელი ხალხი, რომელიც სარგებლობს საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მხარდაჭერით, დარწმუნებულია თავის ძალაში და გადაჭრით მოითხოვს თავისი ტერიტორიის შემადგენელი ნაწილის — კუნძულ ტაივანის დაბრუნებას.

სავსებით ცხადია, რომ აზიაში მომხდარი ძირეული ცვლილებების შემდგომი უგულებელყოფა, ცვლილებებისა, რომლებიც უპირველეს ყოვლისა გამოიხატა ჩინელი ხალხის გამარჯვებითა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჩამოყალიბებით, იწვევს სახელმწიფოთა ურთიერთობის გამწვავებას და დაბრკოლებას უქმნის უკვე მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანად გადაჭრას. ავანტიურისტებს შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტიდან არა სურთ, როგორც იტყვიან, რიყეზე ქვა შეამჩნიონ. მაგრამ ასეთი სიბეცე არ შეიძლება ძვირად არ დაუჯდეთ მათ.

მშვიდობის სადარაჯოზე მტკიცედ მდგომი საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხალხები ყოველმხრივ და უანგარო დახმარებას უწევენ ერთმანეთს, რათა კიდევ უფრო აყვავდეს და განმტკიცდეს ამ ორი დიდი ქვეყნის ძლიერება.

ისტორიას არ ახსოვს ისეთი უმწიკვლო და უანგარო მეგობრობა, როგორსაც საბჭოთა სახელმწიფო უწევს ახალგაზრდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას. საბჭოთა ხალხი ჩინეთში გზავნის თავის საუკეთესო სპეციალისტებს. ისინი გადასცემენ ჩინელ მეგობრებს თავიანთ მდიდარ გამოცდილებას როგორც ეკონომიური მშენებლობის დარგში, ისე კულტურისა და განათლების დარგში. ამ მეგობრული დახმარების მეოხებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ სწრაფად გადაჭრა სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდის ამოცანები და წარმატებით განაგრძობს ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის ყოველმხრივ განვითარებას.

სახალხო რევოლუციამდე ჩინეთში სამრეწველო საწარმოთა რაოდენობა უფრო მცირე იყო, ვიდრე შვეიცარიაში, რომლის მოსახლეობა ასჯერ ნაკლებია ჩინეთის მოსახლეობაზე. ამიტომ ჩინეთის სახალხო მთავრობა და კომუნისტური პარტია დიდ ყურადღებას აქცევენ მრეწველობის განვითარებას. 1953 წელს დაწყებული პირველი ხუთწლედის განხორციელების შედეგად ჩინეთის მძიმე მრეწველობამ წამყვანი ადგილი უნდა დაიკავოს ქვეყნის ეკონომიკაში.

ამჟამად საბჭოთა ხალხის დახმარებით ჩინეთში მიმდინარეობს მშენებლობა და რეკონსტრუქცია 141 დიდი სამრეწველო ობიექტისა, მათ შორის მეტალურგიული კომბინატების, ქვანახშირის შახტების, მანქანათმშენებელი, საავტომობილო, სატრაქტორო ქარხნების, რკინიგზის მაგისტრალების, ელექტროსადგურებისა და სხვ.

საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით ჩინეთის საწარმოები ახლა უკვე უშვებენ ისეთ პროდუქციას, როგორიც არის საზეინკლო და სარანდავი ჩარხები, მძლავრი ჰიდროგენერატორები, ელექტრომოტორები, მაღაროს მანქანები, ხიდური და კოშკური ამწეები, საჰაერო კომპრესორები, ორთქლმავლები და სხვ.

ყოველივე ეს საბჭოთა ხალხის მეგობრული დახმარების მხოლოდ მატერიალური მხარეა. რაც შეეხება ამ დახმარების სულიერ და მორალურ მხარეს, როგორც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი გო მო-ჟო აღნიშნავს, ამ მხრივ საბჭოთა ხალხის უდიდეს საჩუქარს ჩინელი ხალხისათვის წარმოადგენს მარქსიზმ-ლენინიზმი, სოციალისტური მშენებლობის ის დიდი გამოცდილება, რომელიც შეიძინა საბჭოთა ხალხმა გმირული კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ოცდაათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

ეს მეგობრობა, რომელსაც როგორც თვალის ჩინს, ისე უფრთხილდებიან საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხალხები, ურყევია. იგი წარმოადგენს ამ ორი დიდი ხალხის საერთო კეთილდღეობის წყაროს და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების ყველაზე მტკიცე საფუძველს.

ახალი ომის გამჩაღებლები, სოციალისტური ბანაკის თავისუფალ ხალხთა მზარდი წარმატებებით გაცოფებულნი, ყოველ ღონესა და ხერხს მიმართავენ, რათა ხელი შეუშალონ ამ ხალხების მშვიდობიან ცხოვრებას. იმპერიალისტები ცდილობენ განხეთქილება შეიტანონ და ჩაშალონ თავისუფალ ხალხთა მეგობრობა, განსაკუთრებით კი საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობა. ამისათვის ისინი მიმართავენ ბინძურ ცილისწამებასა და სიცრუეს, შანტაჟსა და დაშინებას, აწყობენ კონტრრევოლუციურ შეთქმულებებსა და პროვოკაციებს, გზავნიან თავიანთ აგენტებს, ჯაშუშებს, დივერსანტებსა და მკვლელებს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

მაგრამ ამ ბნელეთისმოკიდულთა ყველა ცდა ჩასაფუშავად არის განწირული. დიად შემოქმედებითს შრომაში ჩაბმული სოციალისტური ბანაკის ხალხები საბჭოთა ხალხისა და ჩინელი ხალხის ხელმძღვანელობით განუხრელად და მტკიცედ მიდიან წინ თავიანთი ბრწყინვალე მომავლისაკენ. არ აღუნებენ რა თავიანთ რევოლუციურ სიფხიზლეს, ისინი კიდევ უფრო მძლავრად აჩაღებენ ბრძოლას მშვიდობისათვის, ბედნიერი და ნათელი ცხოვრებისათვის, კიდევ უფრო მჭიდროდ ერთიანდებიან მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიულ ძალებთან.

ა. კუსრაშვილი.



ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილში, ტაიუანში, ამას წინათ ამუშავდა ახალი ელექტროსადგური. ამავე დროს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მოძრაობა ჩინეთის ორ უდიდეს გზაზე — სიკან-ტიბეტის და ცინხაი-ტიბეტის გზატკეცილებზე. სურათზე: (მარცხნივ) ახალი ელექტროსადგურის სამართავი პულტი, (მარჯვნივ) პროვინცია სიკანის სახალხო მთავრობის თავმჯდომარე ლიაო ჯი-გაო ჭრის ლენტს ახალი გზატკეცილის გახსნის წინ.

სინხუას სააგენტოს ფოტო

„მშვიდობის საქმე გაიმარჯვებს, თუ მის საგუშაგოზე იდგება ყველა ხალხი"

სტოკჰოლმი, 10 თებერვალი. (საკდესი). მოწინავე სტატიაში სათაურით „საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა" გაზეთი „ნიუ დაგი" ხაზგასმით აღნიშნავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე საერთაშორისო მდგომარეობის საკითხთა განხილვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

ვ. მ. მოლოტოვის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობისა და სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ ერთხელ კიდევ ცხადყოფს, წერს გაზეთი, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიზანია მშვიდობის შენარჩუნება, მუდმივი მისწრაფება — იქონიოს და განავითაროს კეთილმეზობლური ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან. ცხოვრება გვიჩვენებს, რომ საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან თანასწორუფლებიანობის საფუძველზე მუდამ ვითარდებოდა, მაშინ როცა ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების პოლიტიკას მოჰყვა შეერთებული შტატების იზოლაციის გაძლიერება და წინააღმდეგობათა ზრდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მათ მოკავშირეებს შორის.

ვ. მ. მოლოტოვმა, განაგრძობს გაზეთი, ღრმა ანალიზი გაუკეთა საერთაშორისო ვითარებას, ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის საკითხის გადაჭრა და შორეულ აღმოსავლეთში დაძაბულობის აღმოფხვრა გადაუდებელი საქმეა. საბჭოთა კავშირს არაერთხელ შემოუტანია და კვლავ შემოაქვს კონკრეტული წინადადებანი იმ საკითხების გადასაჭრელად, რომლებიც ართულებენ საერთაშორისო მდგომარეობას, აღნიშნავს გაზეთი.

ვ. მ. მოლოტოვის მოხსენებიდან, წერს დასასრულ გაზეთი, მშვიდობის ყველა მომხრე, ყველა პატიოსანი ადამიანი ამჟამად აკეთებს ერთადერთ სწორ დასკვნას — მშვიდობის საქმე გაიმარჯვებს, თუ მის საგუშაგოზე იდგება ყველა ხალხი.

ამერიკის პრესა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის შესახებ

ნიუ-იორკი, 9 თებერვალი. (საკდესი). ყველა დილის გაზეთი თვალსაჩინო ადგილს უთმობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიას და ვ. მ. მოლოტოვის მოხსენებას საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ.

როგორც ასოშიეიტედ პრესის კორესპონდენტი იუწყება, ვ. მ. მოლოტოვის მოხსენებამ „მნიშვნელოვანი ინტერესი" გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში.

გაზეთები მთავარ ყურადღებას უთმობენ ცვლილებებს სსრ კავშირის მთავრობის შემადგენლობაში, ათავსებენ რა ცნობებს ამის შესახებ მცვირალა სენსაციური ტონით და მიმართავენ ანტისაბჭოთა ჭორებს.

გაზეთები გაურბიან იმას, რომ კომენტარი გაუკეთონ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების ძირითად დებულებებს და, კერძოდ, მოხსენების პირველ ნაწილს საერთაშორისო ვითარებაში მომხდარი ცვლილებების შესახებ. მოყავს რა ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების შინაარსი, გაზეთების უმრავლესობა დუმილით უვლის გვერდს იმას, რომ მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნულია სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის თანაარსებობის ლენინური პრინციპი, საბჭოთა კავშირის მზადყოფნა იბრძოლოს მშვიდობისათვის, კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფისათვის. ცდილობს რა გააყალბოს მოხსენების შინაარსი, ამერიკის პრესის ბევრი ორგანო უაღრესად ტენდენციურად აშუქებს მოხსენებიდან ამოგლეჯილ ცალკეულ ფრაზებს. განსაკუთრებით არ მოეწონათ ამერიკელ ჟურნალისტებს მოლოტოვის სიტყვები საბჭოთა კავშირისა და მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მთელი ბანაკის ძლიერების შესახებ, იმის შესახებ, რომ მშვიდობისმოყვარე ქვეყნები გულხელდაკრეფილი არ დარჩებიან იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრესიული მოქმედების წინაშე.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს მიმომხილველის რაიანის კომენტარები ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების გამო ამოიწურება ნერვული გამოხდომებით და საბჭოთა კავშირის პოლიტიკის უხეში დამახინჯებით.

გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი", ვერ მალავს რა ამგვარი ხერხების ნამდვილ მიზნებს, მოუწოდებს ამერიკის შეერთებულ შტატებს „გააძლიერონ თავდაცვითი (ე. ი. სამხედრო. — რედ.) ღონისძიებანი".

ოთხი სახელმწიფოს თათბირის მოწვევისათვის

ვენა, 9 თებერვალი. (საკდესი). ყველა პოლიტიკური მიმართულების გაზეთები მთავარ ყურადღებას უთმობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობას. სესიის მასალებს ისინი ბეჭდავენ პირველ ორ-სამ გვერდზე.

სესიას მოწინავე სტატიებს უძღვნიან გაზეთები „ნოიე ვინერ ტაგესცაიტუნგი", „დი პრესე", „დას კლაინე ფოლკსბლატი", „ნოიეს ესტერრაიხი", „არბაიტერ-ცაიტუნგი".

ბურჟუაზიული პრესა თხზავს სხვადასხვა მოსაზრებას სსრ კავშირის მთავრობის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ, ამასთან მიმართავს სულელურ ჭორებს.

ყველა გაზეთი ათავსებს საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების შინაარსს.

გაზეთებს ცალკე მოჰყავთ ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების ის ადგილი, სადაც იგი ეხება ავსტრიის საკითხს.

გაზეთი „ესტერრაიხიშე ფოლკსშტიმე" ბეჭდავს ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების დაწვრილებით შინაარსს. მთლიანად მოჰყავს რა მოხსენების ის ადგილი, სადაც ლაპარაკია ავსტრიის საკითხის მოწესრიგებაზე, გაზეთი კომენტარებში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი მოითხოვს, რომ ავსტრიის მონაწილეობით დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას ოთხთა თათბირი, რომელმაც უნდა განიხილოს სახელმწიფო ხელშეკრულების დადების საკითხი. გაზეთი მოითხოვს გარანტიებს ანშლუსის (ავსტრიის შთანთქმა დასავლეთ გერმანიის მიერ) საფრთხის წინააღმდეგ.

მემარჯვენე გაზეთები აქვეყნებენ კანცლერ რაბის განცხადებას ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების გამო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე. რააბი, არ უწევს რა ანგარიშს ლოგიკას, ცდილობს საკამათოდ გახადოს მოხსენების დებულება იმის შესახებ, რომ ავსტრიის საკითხის მოწესრიგება შეუძლებელია განხილულ იქნას გერმანიის საკითხთან დაუკავშირებლად. კანცლერი ამტკიცებს, რომ ავსტრიის „სრული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენა არ უნდა იყოს დამოკიდებული სხვა რაიმე პირობასა ან გარემოებაზე, რომლებზეც ავსტრიას არ შეუძლია არავითარი გავლენის მოხდენა".

იაპონიის პრემიერ-მინისტრ ხატოიამას განცხადება

შანხაი, 10 თებერვალი. (საკდესი). როგორც ტოკიოს რადიო იუწყება, დღეს იაპონიის პრემიერ-მინისტრ ხატოიამასა და დემოკრატიული პარტიის საგარეო პოლიტიკის საქმეთა მრჩეველ არატა სუგიხარას შორის გაიმართა საუბარი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე ვ. მ. მოლოტოვის მოხსენების გამო.

რადიოს ცნობით, ამ საუბრის შემდეგ პრემიერ-მინისტრმა ხატოიამამ კორესპონდენტებს გაუკეთა შემდეგი განცხადება:

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ვ. მ. მოლოტოვის უკანასკნელი სიტყვიდან ცხადია, რომ საბჭოთა კავშირის კურსი — მოაწესრიგოს დიპლომატიური ურთიერთობა იაპონიასთან — არ შეცვლილა. ამიტომ იაპონიის მთავრობას განზრახული აქვს მიიღოს ღონისძიებანი იმისათვის, რომ მომავალ მოლაპარაკებაზე შეძლებისდაგვარად უფრო სწრაფად დამყარდეს ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა სსრ კავშირთან.

ამასთან ხატოიამამ აღნიშნა, რომ „იაპონიის სრულუფლებიანი დელეგაცია, როგორც ჩანს, გაიგზავნება საბჭოთა კავშირთან მოსალაპარაკებლად პარლამენტის არჩევნებამდე" იაპონიაში ე. ი. 27 თებერვლამდე.

ამერიკელ-ჩანკაიშელ აგრესორთა დანაშაულებრივი მოქმედება

ნიუ-იორკი, 11 თებერვალი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტები ტაიბეიდან იუწყებიან დაჩენის კუნძულების ევაკუაციის დროს ჩანკაიშელებმა ამერიკელთა დახმარებით ძალით გარეკეს იქიდან ტაივანზე მთელი სამოქალაქო მოსახლეობა — ამერიკელთა მონაცემებით, 18 ათასზე მეტი კაცი, მათ შორის ქალები, ბავშვები, მოხუცები და ავადმყოფები. ადგილობრივ მცხოვრებლებს ნება დართეს თან წაეღოთ მხოლოდ ყველაზე აუცილებელი ნივთები. ყოველივე დანარჩენი, მათ შორის საცხოვრებელი შენობები და სხვა ნაგებობანი, მოსპეს ჩანკაიშელმა დამრბევებმა, რომლებმაც უძლური გაბოროტებით უკაცრიელ უდაბნოდ აქციეს კუნძულები.

დაჩენის კუნძულების გარდა, ჩანკაიშელებმა და ამერიკელებმა ევაკუაციის საბაბით მთელი სამოქალაქო მოსახლეობა გარეკეს პიშანისა და იუშანის კუნძულებიდან, რომლებიც დაჩენის მახლობლად მდებარეობენ. გუშინ ჩანკაიშელმა ხელისუფლებამ გამოაქვეყნეს ბრძანება კუნძულ ნანძიშანიდან სამოქალაქო მოსახლეობის „ევაკუაციის" შესახებ.

მთელი ეს სამარცხვინო ოპერაცია, როგორც ტრაბახით იუწყებიან ამერიკელი კორესპონდენტები, მიმდინარეობს ამერიკის 700 თვითმფრინავის დახმარებით. ოპერაციაში მონაწილეობას იღებს ამერიკის მე-7 ფლოტი, რომელიც ამ მიზნით გაძლიერებულია კიდევ 5 ავიანოსნით და რამდენიმე საესკადრო ნაღმოსნით.

ჩანკაიშელთა მოქმედება, რომლებიც ამერიკელთა რჩევით და დახმარებით იძულებითი წესით ერეკებიან მცხოვრებლებს ჩინეთის სანაპიროსთან მდებარე კუნძულებიდან ტაივანზე, ადამიანის ელემენტარულ უფლებათა აღმაშფოთებელი დარღვევაა.

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

პარიზი, 10 თებერვალი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რესპუბლიკის პრეზიდენტმა კოტიმ მთავრობის შედგენა დაავალა პიერ პფლიმლენს („სახალხო რესპუბლიკური მოძრაობის" პარტიის წევრი).

თოჯინების სამყაროში

საინტერესო მუშაობა წარმოებს თბილისის სათამაშოების მუზეუმში (გამგე თ. თუმანიშვილი), რომელიც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ეკუთვნის. შედიხართ მის ოთახებში, და თოჯინების სამფლობელოში გრძნობთ თავს. აქ თავმოყრილია მაღალი ოსტატობით შესრულებული ქართული საბავშვო სათამაშოები — მათ შორის რთული მექანიზმებით აღჭურვილი, მოძრავი და მოლაპარაკე თოჯინები. ვის არ მოიყვანს აღტაცებაში მეჩონგურე ქალთა ანსამბლი, რომელიც ასრულებს სიმღერას „სულიკოს" და „ციცინათელას".

აი მოცეკვავე თოჯინა, „სვეტლანა". იგი რიტმულად მიჰყვება მუსიკას და შლის ხელებს რუსული ცეკვის შესაბამისად. თოჯინა „პირიმზე" ცეკვავს „ქართულს". თოჯინა „მარინკა" მოხერხებულად აწობს ხაპნის ქაფში ხის პატარა მილს და უშვებს ბუშტებს. ეს მოძრავი თოჯინები შექმნა გამომგონებელმა რ. ბეგთაბეგიშვილმა.

მუზეუმში საინტერესო მუშაობას ეწევიან მხატვრები ნ. ბრაილაშვილი, ლ. გილჩევსკაია და ნ. ბელიაევა. ბრაილაშვილის მიერ შექმნილმა თოჯინებმა პრემიები დაიმსახურა არა მარტო თბილისში, არამედ მოსკოვშიც სათამაშოების ოსტატ მხატვართა გამოფენებზე.

გარდა თოჯინებისა, მუზეუმის კოლექტივი მუშაობს სხვადასხვა სათამაშოების შესაქმნელად. აქ არის ბავშვისათვის სასარგებლო მრავალი სათამაშო. ყურადღებას იპყრობს მხატვარ ლ. გილჩევსკაიას მიერ შექმნილი სათამაშოები „ახალი ქალაქი" მრავალსართულიანი სახლებითა და ბაღებით, „საკოლმეურნეო სოფელი", „საშუალო სკოლა", „საცხოვრებელი სახლი".

მუზეუმში ინახება მოძმე რესპუბლიკების ოსტატების მიერ დამზადებული თოჯინების სხვადასხვა ნიმუში, აგრეთვე ჩინური, ფრანგული, ინგლისური, გერმანული, შვეიცარიული და სხვა ქვეყნების თოჯინები. მრავლად არის ა. პუშკინის ზღაპრების პერსონაჟები, ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანის" გმირები (შექმნილი მხატვარ ლ. გილჩევსკაიას მიერ). სულ მუზეუმში ექსპონირებულია 600-ზე მეტი საბავშვო სათამაშო.

მუზეუმის მიზანია შექმნას ახალი ქართული სათამაშოები და დახმარება გაუწიოს სათამაშოების მწარმოებელ ორგანიზაციებს. ამ მხრივ თოჯინების მუზეუმს ბევრი კარგი საქმე აქვს გაკეთებული. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს უბრალო, შედარებით ხელმისაწვდომი მასალისაგან დამზადებული ლამაზი სათამაშოები ჯერ არ არის წარმოებაში ფართოდ დანერგილი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მუზეუმს მეტად ვიწრო და შეუფერებელი სათავსები აქვს, რაც ხელს უშლის მუშაობას.

ლ. ხუბულური.

სურათზე: სათამაშოების მუზეუმის ექსპონატები: ზემოთ — „მეჩონგურე ქალთა ანსამბლი". ქვემოთ — თოჯინა „რეზო".

ფოტო ო. არობელიძისა.

დ. მალიანის საიუბილეო საღამო ერევანში

ამ დღეებში სომხეთის სსრ დედაქალაქ ერევნის საზოგადოებრიობამ აღნიშნა სომხეთის სსრ სახალხო არტისტის, ორგზის სტალინური პრემიის ლაურეატის დ. მალიანის დაბადების 50 და სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავი.

დ. მალიანმა სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1919-20 წლებში თელავში, სადაც მონაწილეობას იღებდა სცენის მოყვარეთა სპექტაკლებში. დ. მალიანი შევიდა თბილისის სომხურ დრამატულ სტუდიაში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ერევნის, თბილისის, ლენინაკანის თეატრებში, ხოლო 1932 წლიდან დღემდე მუშაობს ერევნის გ. სუნდუკიანის სახელობის თეატრში.

30 წლის სასცენო მოღვაწეობის მანძილზე ნიჭიერმა მსახიობმა 150-ზე მეტი როლი განასახიერა. დ. მალიანს წილად ხვდა პატივი სომხურ სცენაზე პირველს შეექმნა დიდი სტალინის სახე („ლენინი 1918 წელს" და „თოფიანი კაცი"). მანვე წარმატებით განასახიერა მე-19 საუკუნის სომხეთის რევოლუციონერი დემოკრატის მიქაელ ნალბანდიანის სახე.

დ. მალიანი ცნობილია აგრეთვე როგორც სომხეთის კინოხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე. იგი გადაღებულია კინოსურათებში „პეპო", „ზანგეზური", „სევანელი მეთევზეები" და სხვ.

ნიჭიერ მსახიობსა და აქტიურ საზოგადო მოღვაწეს საიუბილეო საღამოზე საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სახელით მიესალმა რესპუბლიკის სახალხო არტისტი თ. ჭავჭავაძე. საღამოს დაესწრნენ თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივის წარმომადგენლები რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი გ. სალარაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ს. ჯაფარიძე, ხოლო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირიდან კომპოზიტორი რ. ლაღიძე.

სპორტის ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ჰოკეისტების გამარჯვება

8 თებერვალს ოსლოს უდიდეს სტადიონ „ბიშლეტზე" გაიმართა საერთაშორისო შეხვედრა ბურთიან ჰოკეიში სსრ კავშირისა და ნორვეგიის ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა ანგარიშით 4:1.

თამაშის შემდეგ მოეწყო მიღება, რომელიც ნორვეგიის ბურთიანი ჰოკეის მოთამაშეთა კავშირმა გამართა. მიღებაზე სიტყვით გამოსულმა ამავე კავშირის პრეზიდენტმა რონოსმა აღნიშნა საბჭოთა სპორტის მნიშვნელოვანი როლი ბურთიანი ჰოკეის განვითარებაში. ამიტომ, თქვა მან, ჩვენს შეხვედრას დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტის ამ სახეობის განვითარებისათვის ნორვეგიაში. გარდა ამისა, თქვა რონოსმა, ეს შეხვედრა, ისევე როგორც ქვეყნებს შორის მთელი სპორტული ურთიერთობა ხელს უწყობს ხალხთა შორის მეგობრობასა და ურთიერთგაგებას.

XXII საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი

10 თებერვალს მოსკოვში, რკინიგზელთა კულტურის ცენტრალურ სახლში გაიხსნა XXII საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალური შეჯიბრება. პირველობის გათამაშებაში მონაწილეობას იღებენ მსოფლიოს ჩემპიონი გროსმაისტერი მ. ბოტვინიკი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გროსმაისტერი ი. ავერბახი, გროსმაისტერები ვ. სმისლოვი, პ. კერესი, ტ. პეტროსიანი, მ. ტაიმანოვი, ე. გელერი, ა. კოტოვი, ს. ფლორი, ოსტატები ბ. სპასკი, გ. ლისიცინი, ვ. სიმაგინი, გ. ილივიცკი და სხვები, სულ 20 მოჭადრაკე.

11 თებერვალს გაიმართა პირველი ტური. გროსმაისტერ მ. ბოტვინიკის შეხვედრა სპორტის დამსახურებულ ოსტატ ვ. მიკენასთან დამთავრდა ყაიმით. ტ. პეტროსიანმა დაამარცხა ოსტატი ნ. კანი, ა. კოტოვმა — ვ. ანტოშინი, ბ. სპასკი—პ. კერესის და ს. ფურმან—მ. ტაიმანოვის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ორი დიდი ხალხის მეგობრობის აღსანიშნავად

14 თებერვალს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოება აწყობს საღამოს, რომელიც მიეძღვნება სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების ხუთი წლისთავს.

საღამოზე მოსმენილ იქნება საქართველოს სსრ განათლების მინისტრის გ. ნ. ჯიბლაძის მოხსენება „სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების მეხუთე წლისთავი". შემდეგ გაიმართება დიდი კონცერტი ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით. (საქდესი).

• • •

1955 წლის 14 თებერვალს საღამოს 8 საათზე საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სააქტო დარბაზში (რუსთაველის პროსპ. 29) საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება აწყობს თემატურ საღამოს. საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის დოც. ი. ტაბლ[illegible]. მოხსენებას თემაზე: „სსრ კავშირის და ჩინეთის ხალხთა დიადი თანამეგობრობა" წაიკითხავს საზოგადოების ნამდვილი წევრი გ. შიშკინი.

მოხსენების შემდეგ საქართველოს აკადემიის ნამდვილი წევრი რ. აღლაძე, სპორტის დამსახურებული ოსტატები: ე. გოკიელი, მ. ჯუღელი, ო. ქორქია და სპორტის ოსტატი რ. არკადიევი გამოვლენ თავიანთი შთაბეჭდილებებით ჩინეთში მოგზაურობის შესახებ.

რედაქტორი ნ. ჟაში.

სახალხო უნგრეთის დედაქალაქი

10 წლის წინათ, 1945 წლის 13 თებერვალს, საბჭოთა არმიის ნაწილებმა ჰიტლერელ დამპყრობთაგან გაათავისუფლეს უნგრეთის დედაქალაქი ბუდაპეშტი.

დიდი ცვლილებები მოხდა განვლილი ათი წლის მანძილზე ბუდაპეშტში. საბჭოთა კავშირის ძმური დახმარებით ბუდაპეშტის მშრომელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს დედაქალაქის სოციალისტური მშენებლობის, კეთილმოწყობისა და აღორძინების საქმეში, რის შედეგადაც იგი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის უმსხვილეს პოლიტიკურ, სამრეწველო-ეკონომიურ და კულტურულ-სამეცნიერო ცენტრად გადაიქცა.

ბუდაპეშტში ამჟამად თავმოყრილია უნგრეთის მრეწველობის დაახლოებით 2/3. აქ ფართოდ განვითარებულია მრეწველობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგები, როგორიც არის მანქანათმშენებლობა, შავი და ფერადი მეტალურგია, ქიმიური, ელექტროტექნიკური, საფეიქრო, ქაღალდისა და კვების მრეწველობა.

სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლების პირველსავე წლებში ბუდაპეშტში უკვე იყო 95 საბავშვო ბაღი დაახლოებით 10 ათასი ბავშვით, 152 ზოგადი დაწყებითი სკოლა 39 ათასი მოსწავლით, 60 უმაღლესი დაწყებითი სკოლა 16.600 მოსწავლით, 46 გიმნაზია, 10 ლიცეუმი 17.900 მოსწავლით. ბუდაპეშტში არის უნგრეთის მეცნიერებათა აკადემია, პასმანის სახელობის, ტექნიკურ-ეკონომიური და პოლიტიკურ - ეკონომიური უნივერსიტეტები, გეოლოგიური, მეტეოროლოგიური, გეოფიზიკური, ქიმიური და სხვა სამეცნიერო - საკვლევი ინსტიტუტები.

უნგრეთის დედაქალაქში ამჟამად მრავალი ჟურნალ-გაზეთი გამოდის. ბუდაპეშტის მშრომელთა შორის ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობს მშრომელთა პარტიის ცენტრალური ორგანო „საბად ნეპი", უნგრეთის პროფკავშირთა საბჭოს ორგანო „ნეპსავა" და სხვ. ბუდაპეშტშია უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის დეპეშათა სააგენტო „მადიარ ტავირატი იროდა" და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო ორგანიზაცია „მადიარ რადიო გივატალი". ქალაქში ბევრია თეატრი, კინოთეატრი, მუზეუმი, სამეცნიერო და საჯარო ბიბლიოთეკა, რომლებიც დედაქალაქის მშრომელთა კომუნისტურად აღზრდის საქმეს ემსახურებიან.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის აღორძინებული დედაქალაქი მრავალგზის ყოფილა თავისი ქვეყნისა და საერთაშორისო პოლიტიკური ცხოვრების უშუალო თანამოზიარე და მოწმე: 1948 წელს აქ, ბუდაპეშტში, მარქსისტულ-ლენინური პრინციპების საფუძველზე უნგრეთის კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიები გაერთიანდნენ უნგრეთის მშრომელთა პარტიად. 1948 წელს აქ გაიმართა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მეორე მსოფლიო კონგრესი. 1949 წლის 18 აგვისტოს ბუდაპეშტში მოწვეულმა ეროვნულმა კრებამ მიიღო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია. 1949 წლის აგვისტოში დიდი წარმატებით ჩაიარა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალმა. იმავე წლის სექტემბერში აქ მუშაობდა ახალგაზრდობის მეორე მსოფლიო კონგრესი. 1949 წლის ნოემბერში ბუდაპეშტში შედგა კომუნისტური პარტიების საინფორმაციო ბიუროს მორიგი თათბირი. 1949 წლის 10 დეკემბერს ბუდაპეშტში შეკრებილმა სახელმწიფო კრებამ მიიღო კანონი უნგრეთის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი (1950-1954 წლების) გეგმის შესახებ. 1951 წლის თებერვალ-მარტში ბუდაპეშტში მიმდინარეობდა უნგრეთის მშრომელთა პარტიის მეორე ყრილობა. 1951 წლის მარტიდან ბუდაპეშტი დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნოს მუდმივი ადგილსამყოფელია.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელოვანი დედაქალაქი ამ უაღრესად მნიშვნელოვან ეროვნულ და საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებათა ორგანიზაციული ცენტრის როლში შემთხვევით როდი აღმოჩნდა! ეს იმით არის გამოწვეული, რომ ბუდაპეშტის მშრომელები, ისევე როგორც მთელი უნგრელი ხალხი, რომლებსაც უსაზღვროდ უყვართ თავიანთი შესანიშნავი დედაქალაქი და რომლებიც თავიანთ სამშობლოში წარმატებით აშენებენ ახალ დემოკრატიულ წყობილებას, ომის წინააღმდეგი არიან და აქტიურად იბრძვიან მშვიდობის დასაცავად. ამიტომ სავსებით მართალია ცნობილი საბჭოთა მწერალი ილია ერენბურგი, რომელიც ამას წინათ უნგრულ ყოველთვიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალ „უნგრეთში" შენიშნავდა: „უნგრელებს მხურვალედ უყვართ თავიანთი მშობლიური ქვეყანა. ძნელიც არის არ უყვარდეთ იგი. როცა ამ ქვეყანაში ვმოგზაურობდი, მე ვტკბებოდი ჩემს წინაშე გადაშლილი სილამაზით. ამ მშვენიერი ქვეყნის გულისათვის ბევრი სისხლი და ცრემლია დაღვრილი. ამიტომ უნგრელებს ასე ძლიერ უყვართ თავიანთი სამშობლო. ეს მხურვალე სიყვარული და სამშობლოსა და მისი მშენებლობისათვის თავდადებული შრომა—მშვიდობისათვის უნგრელთა ბრძოლის განუყრელი ორგანული ნაწილია.

ხარაჩოებზე მდგომ ადამიანს არ სცალია იფიქროს და არც ფიქრობს ომზე — ის აშენებს. უნგრელები ახლა თავიანთ სახლს აშენებენ, და უნგრელები აფასებენ მშვიდობას".

სურათზე: ბუდაპეშტი, ჟიგმონდ მორიცის მოედანი. ფოტო „მადიარ ფოტოსი".

დ. გველესიანი.

დღეს თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — სევილიელი დალაქი (დილას), მთების გული (საღამოს), რუსთაველის სახელობის — ოთარაანთ ქვრივი (დილას), ახალგაზრდა მასწავლებელი (საღამოს), მარჯანიშვილის სახელობის — გიორგი სააკაძე (დილას), კოლმეურნის ქორწინება (საღამოს), გრიბოედოვის სახელობის — ასი მილიონი (დილას), ტურბინთა დღეები (საღამოს), სომხური დრამის — სასიძოები (დილა-საღამოს), მუსიკალური კომედიის — ნათელი მომავალი (დილას), სალხინობელი (საღამოს), მოზარდ მაყურებელთა ქართული — ანდროს ოცნება (აბონემენტი № 43, 12 ს.), გლეხის ნაამბობი (აბონემენტი № 1, 7 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — მისი მეგობრები (11 ს.), რიბაკოვის შვილი (8 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის, ისანი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — ფანფან-ტულპანი, კომკავშირელი, კოლხიდა, ოფიცერთა სახლი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი — ვატერლოოს ხიდი, დიდუბე, გორკის სახელობის პარკი — ბაიჯუ ბავრა, კოლმეურნე, კიროვის სახელობის პარკი — განგა, კომუნარების ბაღი — ტყვე ტაფოადან.

დისერტაციის დაცვა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

1955 წლის 2 მარტს დილის 11 საათზე (ძერჟინსკის ქ. № 8) პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის (ფსიქოლოგიაში) სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

ირინე მუშეგის ასული გეოდაკიანი

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Психологические основы наглядности обучения русскому языку в армянской школе (II-IV классы).

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ჯავახიშვილის ქ. № 1).

თბილისის „დინამოს" სტადიონი

13 თებერვალს

ფეხბურთი

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" გარდამავალი პრიზის გათამაშება საქართველოს ფეხბურთელთა უძლიერეს გუნდებს შორის.

თამაშობენ:

1. თბილისის ახალგაზრდათა ნაკრები და ქუთაისის ნაკრები გუნდები. დასაწყისი 12 საათზე.
2. ქალაქ თბილისის ნაკრები და ქ. თბილისის ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლის გუნდები. დასაწყისი 14 საათზე.

თამაში შედგება სტადიონის მეორე საფეხბურთო მოედანზე.

შესასვლელი ბილეთის ფასი 3 მანეთი.

მოქალაქე სოკრატ მიხეილის-ძე ცაბაძემ, მცხოვრებმა ლენის ქ. № 10, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე აიკანუშ მიხაკის ასულ ვართანოვთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე გიორგი შალვას-ძე თელიამ, მცხოვრებმა საბჭოს მე-2 ჩიხი № 6, აღძრა საქმე არღუთინსკის ქ. № 6 მცხოვრებ მოქალაქე თამარ ისაკის ასულ ოსიაშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე იროდიონ ნიკოლოზის-ძე ქურდოვანიძემ, მცხოვრებმა ეტაპის ქ. № 3, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ თინა ქიტას ასულ კაკაშვილ-ქურდოვანიძესთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგია.

შვილი შალვა ლუკას-ძე ბერიტაშვილი ოჯახით იუწყება

თეოლინა ქიშვარდის ასულ რამიშვილი-ბერიტაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14-II, 8 ს. გამოსვენება 15-II, 4 ს. რუსთაველის პროსპ. № 32.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თანამშრომლები იუწყებიან

პასიკო ნიკოლოზის ასულ ჭავჭანიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 13-II სოხუმში. გამოსვენება თბილისის გზატკეცილი № 8.

მეუღლე თამარ, შვილები ვარდენ, ნათელა, ზურაბ იუწყებიან

მიხეილ ვარდენის-ძე მაჭავარიანის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-II სოფ. ჭორვილაში (საჩხერის რაიონი).

შვილები დავით, ლუსია, თამარ, ნაზიკო, გეგე ოჯახებით იუწყებიან

ნინო გიორგის ასულ ჩიჩელაშვილი-ბრიტანჩუკის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14-II, 8 ს. გამოსვენება 15-II, 4½ ს. ტექნიკური ქ. № 3.

დედა ეკატერინე, მეუღლე შუშანა, შვილი ოფელია ოჯახებით იუწყებიან

ივანე სერგის-ძე თოფჩიანის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14-II, 7 ს. გამოსვენება 15-II, 5 ს. ვერცხლის ქ. № 3.

მეუღლე ანა, შვილები რომან, ლამარა, ცისანა იუწყებიან

ილია ბესარიონის-ძე კვერენჩხილაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-II სოფ. ჩოჩხათში (ლანჩხუთის რაიონი).

გორის რაიონის კულტურის განყოფილების და რაიონული კულტურის სახლის თანამშრომლები იუწყებიან კულტურის სახლის დირექტორის

გაბრიელ მიხეილის-ძე მანაშეროვის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-II გორში.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების—3-51-81, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

უე 00330

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.